ლიბერალი

№ 108 / 24 - 30 სექტემბერი / 2012

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 2 ლარი

მთავარი თემა

ტეროი სიხეში

ეცადე დაინახო მეტი

www.tv9.ge

ლიბერალი

№ 108 / 24 -30 სექტემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
კახა თოლორდავა, დათო ლაღიძე, ბექა ქურხული, ბასილ კობახიძე, ლევან გიგინეიშვილი

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

„ყოველწუთიერად, რაც უფრო მეტი ფაქტი ხდება ცნობილი, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ მთელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, მათ შორის, ომბუდსმენის“ – ეს ამ პარასკევ ღამეს, ჩემი ბოლო სტატუსი იყო „ფეისბუქზე“, რომლის პათოსიც ყველაზე მეტმა ადამიანმა გაიზიარა.

სამწუხაროდ, ამ საშინელი კვირის განმავლობაში ყველანი ანტიგმირები ვიყავით, ალაგ-ალაგ ძალიან დაბნეული სტუდენტებისა და იმ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანების გარდა, ვინც აქციებზე მხვდებოდნენ, გულწრფელ აღშფოთებას გამოხატავდნენ და სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდიდნენ.

ანტიგმირია პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება, რომელმაც ვერ გაიგო, რომ „სისტემურ მარცხზე“ მხოლოდ თავად არიან პასუხისმგებლები და არა რამდენიმე სადისტი, რადგან თავად არიან მთელი სისტემა. ანტიგმირია სამოქალაქო სექტორი, თავისი ყველაზე დიდი და ამბიციური უფლებათა დამცველი ორგანიზაციებით, რომლებიც არასოდეს არსად ჩანან, დახურულ დარბაზებს მიღმა. პასუხისმგებელია პატრიარქი, რომლის ქადაგებამაც ლამის დაშალა ძლივს აგორებული, ძალიან ჯანსაღი, სამართლიანი და მშვიდობიანი სტუდენტური პროტესტი. ჩემი მეგობრების მსგავსად, ანტიგმირი ვიყავი მეც, რადგან ამ კვირის მანძილზე, არაერთხელ ვიყავი სრულიად სასოწარკვეთილი და სიმწრისაგან სახედაკარგული.

„წამება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. ადამიანს, რომელმაც წამება და არაადამიანური მოპყრობა გადაიტანა, ისეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ექმნება, რომ სპეციალისტის დახმარება და რეაბილიტაცია სიკვდილამდე სჭირდება. ის 25 000 პირი, ვინც დღეს საპატიმროშია, რომ გამოვა, მეორეულ ტრავმას საკუთარი ოჯახის წევრებზე გადაიტანს. თუმცა, პატიმრის ახლობლობა უკვე ტრავმაა. ჩვენ ვხედავთ, რა დღეში არიან პატიმართა მშობლები და ოჯახის წევრები. გამოდის, რომ, ფაქტობრივად, მთელი საზოგადოება ავადმყოფურ მდგომარეობაშია“ – ლია მუხაშავრიასთან ინტერვიუს ამავე ნომერში ნახავთ.

შორენა შავერდაშვილი

ტეხოხი სიხეში

ვიდეოკადრებში ჩანს, როგორ ცემენ, აწამებენ, აუპატიურებენ პატიმრებს. ამისთვის იყენებენ ხელკეტს, ცოცხს, სიგარეტს... შემდეგ პატიმარს აიძულებენ ეს სიგარეტი მოწიოს. ისმის მსჯავრდებულთა ყვირილი, კვნესა, ტირილი... ისინი ციხის თანამშრომლებს სთხოვენ შეწყვიტონ წამება, თუმცა ამაოდ...

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. პრეზიდენტის თქმით, „ნანახმა იგი ძალიან გააბრაზა და „სულით ხორცამდე შეძრა“. პრეზიდენტმა მომხდარს „ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული შემზარავი აქტი“ უწოდა.

პრეზიდენტის სასახლეში მისულ იუსტიციის მინისტრს, პრემიერ-მინისტრს, მთავარ პროკურორსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალ უფროსს გიორგი ლორთქიფანიძეს მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა: „ვიღაც მანიაკების ხელში არ უნდა იყოს სისტემა ისე, რომ ადვილად მანიპულირებადი იყოს შიგნიდანაც და გარედანაც ცუდი ხალხის მიერ“.

ზურა ვარდიაშვილი
33.14

"ვიდრე პრეზიდენტი საპატიმროა, ვერავინ ვერაფერს შეცვლის"

რევოლუციის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ამის ახსნა, თუ რატომ ხდება წამება არა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე, არამედ, შემდეგაც, ადვილად შეიძლება. საქართველოში პატიმრების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა – სამწუხაროდ, ახლა ევროპაში ჩემპიონები ვართ. საპყრობილეების ადმინისტრაცია უძლურია ამ რაოდენობის პატიმრებს გაუმკლავდეს. ამიტომ, მათ სჭირდებათ ყველას დატერორება, მიუხედავად იმისა, არღვევს თუ არა პატიმარი ციხის შიდაგანაწესს.

ნინო ბექიშვილი
33.10

არასამთავრობოები პოლიტიკური ზეწოლის ფაქტების შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთობლივი ინიციატივით შექმნილია არჩევნების პორტალი www.electionsportal.ge, სადაც არასამთავრობოებსა და მოქალაქეებს წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ინციდენტების დაფიქსირება

შეუძლიათ, ამ დროისთვის პორტალზე ინფორმაცია უკვე 301 ინციდენტის შესახებ არის განთავსებული.

ზურა ვარდიაშვილი
33.44

ფოტორეპორტაჟი

"არ აწამო!"

გვ.34–43

ნოემერში:

ფოტო მარანაზი
დარო სულაბერი

04 მოკლედ

06 რიცხვები, ციტატები

ორი აზრი

08 უნდა დადგეს თუ არა მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი?

მთავარი თემა

24 სტუდენტები საპროტესტო აქციების განახლებას 24 სექტემბერს გეგმავენ

26 წამების ქრონიკა ქართულ ტელევიზიებში

ჟურნალისტური გამოძიება

28 პატიმრების ცემა მკურნალობის ნაცვლად

მსოფლიო

46 მუსლიმები დასავლეთის წინააღმდეგ

კომენტარი

48 Welcome to Hell!

50 „ნაციონალურ მოძრაობას“ აღარ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება

52 იდეოლოგიური სადიზმი

ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები

54 ომი, რომელიც აუცილებლად უნდა დავიწყოთ

56 მიშიზმები

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

სირიაში მდგომარეობა მწვავდება

სირიის საკითხში გაეროსა და არაბთა ლიგის წარმომადგენლის, ლახდარ ბრაჰიმის შეფასებით, სირიაში კრიზისი მწვავდება და ის მეზობელი ქვეყნებისთვის შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს. „ვითარება უარესდება და უზარმაზარ საფრთხეს უქმნის რეგიონს. ასეთ კონფლიქტს ვერ გამოკეტავ ერთ ქვეყანაში, ის აუცილებლად გავრცელდება სხვებზე და უკვე ვრცელდება კიდეც ასიათასობით ლტოლვილის სახით. ისინი დესტაბილიზაციას იწვევენ მეზობელ ქვეყნებში, ან დესტაბილიზაციის საფრთხით ემუქრებიან მათ“, – განაცხადა ბრაჰიმიმ არაბულენოვან ტელეკომპანია „ალ ჯაზირასთან“ საუბარში.

მოწინააღმდეგე მხარეები საკუთარ მომხრეებს უახლოეს პერიოდში გამარჯვებას ჰპირდებიან, თუმცა მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ უარესდება.

გაეროს მონაცემებით, სირიის კონფლიქტმა უკვე 250 000-მდე ადამიანი აქცია ლტოლვილად. ბრაჰიმის პროგნოზით დაღუპულებისა და ლტოლვილების რიცხვი მოიმატებს.

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხება უკვე 18 თვეა გრძელდება. პროცესები მშვიდობიანი აქციით დაიწყო, აქციის წინააღმდეგ კი მთავრობის ჯარებმა ძალა გამოიყენეს. აქამდე 27 000-მდე ადამიანია გარდაცვლილი, დღეში 200-მდე ადამიანი იღუპება.

შეტაკებები გრძელდება დედაქალაქ დამასკოსა და ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ალეპოში.

საბჭოთა საქმეთა მინისტრების სტუმრობა საქართველოში

საქართველოს ლიტვის, ბულგარეთის, ლატვიის, რუმინეთისა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ესტუმრნენ. ვიზიტის ფარგლებში ისინი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სტუმრებს ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო წვრთნის „კავკაზ 2012“-ის შესაძლო საფრთხეებზე ესაუბრებოდა.

„ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რა შედეგი მოიტანა რუსეთის 2008 წლის სწავლებებმა, რომელიც თავისი მასშტაბით გაცილებით უფრო მცირე იყო და მასში გაცილებით შეზღუდული ძალები მონაწილეობდა. საქართველოს დიპლომატიის ძალისხმევამ გამოიღო ის შედეგი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა სულ უფრო და უფრო მძაფრ შეკითხვებს უსვამს რუსეთს ამ სამხედრო სწავლებების შესახებ“, – ამბობდა ის.

უცხო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი საქართველოში რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად არ ჩამოსულან და მათთვის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. მათი თქმით, წინასაარჩევნოდ ყველა პოლიტიკური პარტიისთვის თანაბარი პირობები უნდა შეიქმნას. მინისტრები კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდნენ.

„ისინი ჩამოვიდნენ საქართველოს ხალხის მხარდასაჭერად და არა რომელიმე პარტიის ან ხელისუფლებისა. ამ კუთხით ჩვენც მადლობა გადავუხადეთ. მათ ჰქონდათ რამდენიმე შეკითხვა: დააზუსტეს ჩვენი სტრატეგია. კიდევ ერთხელ დავუსაბუთეთ, რომ ეს გახლავთ ევროატლანტიკური სივრცე. დააზუსტეს რუსეთთან ურთიერთობა. დააზუსტეს საგარეო პოლიტიკის ჩვენი ხედვა და ა.შ. მგონი, ძალიან კარგი შეხვედრა იყო. ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ. ყველა შეკითხვაზე პასუხი მიიღეს და კარგად გაიგეს ჩვენი პოზიცია“, – ამბობდა ივანიშვილი.

ანტიმუსლიმური ფილმის საწინააღმდეგო პროტესტი ხვლავ ძლიერია

ფილმ „მუსლიმთა უმანკოების“ საწინააღმდეგო გამოსვლების მიმდინარეობისას სამი ადამიანი გარდაიცვალა პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში. ჩრდილოეთ პაკისტანის ქალაქ პეშავარში პროტესტანტები თავს დაესხნენ და გაძარცვეს კინოთეატრის ორი შენობა. პაკისტანის ტელევიზიის, „ARY TV“-ის მძღოლი დაიღუპა, როცა პოლიციამ აქციის მონაწილეების დაშლის მიზნით ცეცხლი გაუხსნა. სროლისა და არეულობის დროს აქციის კიდევ ერთი მონაწილე გარდაიცვალა.

ერთი პოლიციელი დაიღუპა და ორი ოფიცერი დაშავდა ქალაქ კარაჩიში, სადაც დემონსტრანტები ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოსთან მისვლას ცდილობდნენ.

ყველა ძირითადი პარტია და რელიგიური ორგანიზაციები პროტესტის გაგრძელებას პარასკევს, 21 სექტემბერს აპირებდნენ. პაკისტანის ხელისუფლება მომიტინგეებს მშვიდობისკენ მოუწოდებდა. უსაფრთხოების მიზნით მობილური სერვისი მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოირთო.

საფრანგეთმა დახურა საკუთარი საელჩოები 20 მუსლიმურ ქვეყანაში.

კაიროში, სადაც ფილმის საწინააღმდეგო პროტესტი დაიწყო, ეგვიპტის უსაფრთხოების სამსახური ამერიკის საელჩოს მიმდებარე ქუჩებზე პატრულირებს.

მუსლიმურ ქვეყნებში არეულობის მაპროვოცირებელი ფილმის წარმოშობა გაურკვეველია, მისი ავტორის ზუსტი სახელი უცნობია.

სოციალური ქსელი "ფეისბუქი" შეიძლება ღაჯარიმდეს

სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ შეიძლება 100 000 ევროთი დაჯარიმდეს თუ ოთხ კვირაში ირლანდიურ მონაცემთა

დაცვის სამსახურის რეგულაციებს არ დააკმაყოფილებს.

„უკეთესი გამჭვირვალობა მომხმარებლებისათვის თუ როგორ ხდება მათი მონაცემების დამუშავება, გაიზარდოს მომხმარებლების კონტროლი საკუთარ პარამეტრებზე, უკეთესი შესაძლებლობა მიეცეთ მომხმარებლებს საკუთარი მონაცემების წაშლისთვის“,- ითხოვს ირლანდიური მონაცემთა დაცვის სამსახური.

„ფეისბუქმა“ განაცხადა, რომ მზადაა გააგრძელოს მუშაობა ირლანდიელ რეგულატორებთან, რათა გაითვალისწინოს მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტები.

„მონაცემთა დაცვის ირლანდიელი ოფიცერი მუდმივად მუშაობს ჩვენთან, რათა გავაგრძელოთ და გავაუმჯობესოთ მონაცემთა კონტროლის მაღალი სტანდარტი“, – განაცხადა სოციალური ქსელის სპიკერმა.

„შემოწმება მონაცემთა კონტროლის მიმდინარე პროცესის ნაწილია და მოხარულები ვართ, რომ მონაცემთა დაცვის კომისრის აზრით, ჩვენი სტანდარტები სრულად შეესაბამება ევროპულ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს. ჩვენ ვითვალისწინებთ მათ მოთხოვნებს და სრულად ვიზიარებთ მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქტიკას“, – ამბობს „ფეისბუქი“.

თურქეთში 300-ზე მეტი ადამიანი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის დაუჯავეს

სააგენტო France-Presse-ის ინფორმაციით, თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის გამო 21 სექტემბერს 322 ადამიანს პატიმრობა მიუსაჯეს, 34 ადამიანი კი გაამართლეს.

დაკავებულთაგან სამ თურქ გენერალს სასამართლომ 20-20 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მათ სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდათ, თუმცა სასამართლომ განაჩენი შეუმსუბუქა, რამდენადაც გადატრიალება არ განხორციელდა და ისინი მხოლოდ მცდელობისთვის გაასამართლეს.

სასამართლო პროცესი 2 წელიწადს გრძელდებოდა და ბრალდებული იყო 360-მდე ოფიცერი და გენერალი, რომლებიც ზომიერი ისლამისტის, ტაიპ ერდოღანის მმართველობის დამხობის მცდელობაში, ე.წ. „კუვალდის“ გეგმაში მონაწილეობაში დაადანაშაულეს.

თურქეთის მთავრობის ვერსიით, „კუვალდის“ გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანაში პროვოკაციული მოქმედებებით სიტუაციის დესტაბილიზაცია მომხდარიყო. მაგალითად, მეჩეთებსა და სხვა ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებები, სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდება და ა.შ. მსგავსი ტერაქტების მოწყობაში კი, ხელისუფლების ვერსიით, შეთქმულებს საბერძნეთი უნდა დაედანაშაულებინათ და არეულობის დროს ხელისუფლება თავად ეგდოთ ხელთ.

დაპატიმრებულები დანაშაულს არ აღიარებენ, ხელისუფლების ვერსიას გამოგონილს უწოდებენ და მთავრობას ოპოზიციის დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებენ.

თურქეთში ანალოგიური ბრალდებით 2008 წელსაც დააკავეს გენერლები და ოფიცრები. მთავრობამ ისინი საიდუმლო რადიკალური ნაციონალისტური დაჯგუფების წევრებად მონათლა. დაკავებულებმა კი ბრალდებას ხელისუფლების გამოგონილი უწოდეს და თქვეს, რომ მასობრივი დაპატიმრებების მეშვეობით თურქეთის ხელისუფლება საკუთარი პოზიციების გამყარებასა და პოლიტიკური ოპონენტების ჩამოშორებას ცდილობს.



რიცხვები, ციტატები

8 თვე საბანკო სექტორმა 114, 194 მილიონი ლარის მოგებით დაასრულა.

1 წელიწადში 3,5% -ით გაიზარდა უცხოეთში გადარიცხვები.

4 ადამიანი დააკავა საპატრულო პოლიციამ იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის. შსს-ს ცნობით, აქციის დაკავებულ მონაწილეებს ბრალად პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ედებათ.

2 ოქროს მედალი მოიპოვა გენადი კვიკვინიამ მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. კუდ-ის თანამშრომელი კვიკვინია მსოფლიო ჩემპიონი 110 კილოგრამ წონით კატეგორიაში მემარჯვენეებსა და მემარცხენეებში გახდა.

2 ადამიანი დაიღუპა პაკისტანის ქალაქ ფეშავარში მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს. პაკისტანში ათეულ ათასობით ადამიანი აპროტესტებს აშშ-ში გადაღებულ სკანდალურ ფილმსა და ფრანგულ გაზეთში გამოქვეყნებულ კარიკატურას.

33 ათასმა აშშ-ს ჯარისკაცმა ავღანეთი დატოვა.

„პატიმრების წამებასთან დაკავშირებით აუცილებელია ჩატარდეს დაწვრილებითი და გამჭვირვალე გამოძიება, რომელიც სათანადოდ დასჯის დამნაშავეებს“,

– ქეთრინ ეშტონი, უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისარი

„მსგავსი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ ხელისუფლებას და ხალხს ეს სამარცხვინო მოქმედება საქვეყნოდ არ გამოაქვთ და ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს არ განმეორდეს. რაც ჩვენ ვიხილეთ, ერისა და საქართველოს სირცხვილია“,

– ილია II – საქართველოს პატრიარქი

„ის, რომ ჩვენ ამის გამოძიება მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ დავიწყეთ, ნიშნავს იმას, რომ ბევრი რგოლი ჩავარდა. ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, ამ მასშტაბით, ამდენი ხნის განმავლობაში ხდებოდეს ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში. რეალურად მოხდა სისტემური მარცხი“,

– მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

„ჩვენ, ხელისუფლებამ, მძიმე შეცდომა დავუშვით, როდესაც სათანადოდ ვერ შევაფასეთ ის სიგნალები, რომლებიც მოდიოდა სახალხო დამცველისგან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან, ამ სტრუქტურაში არსებული სისტემური პრობლემების შესახებ“,

– გიგა ბოკერია, უშიშროების საბჭოს მდივანი

www.ucnobifm.ge

არა

დავით დარჩიაშვილი
პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

...ენდა დადგეს თუ... პასუხისმგებლ...

ის ფაქტები, რაც გახმაურდა, შემზარავია, შესაბამისად, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მოთხოვნა ლოგიკური და ემოციურად გასაგებია. ამავე დროს, რა თქმა უნდა, მთავრობის გადადგომის სრულიად ვეწინააღმდეგები ორი მიზეზის გამო. პირველი ისაა, რომ მთავრობამ და მთლიანად ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. აღიარა ის, რომ არ იყო სათანადო რეაგირება ციხეებში არსებული ვითარების გამო. მთავრობამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო ძალიან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა. პირველ რიგში, ვგულისხმობ, უშუალოდ იდენტიფიცირებული დამნაშავეების დაჭერას, ასევე ვსაუბრობ პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებაზე და ორი მინისტრის გადადგომაზე, რომელთაც სისტემასთან შეხება ჰქონდათ და პოლიტიკურად პასუხისმგებლები იყვნენ სისტემაზე.

ცალსახაა და როდესაც ემოციები ჩაივლის, საზოგადოებისთვის ნათელი გახდება, რომ გარდა ერთი კადრისა, სადაც პოლიციელების დიდი ჯგუფი სცემს ადამიანს, ყველა დანარჩენი არის ფაბრიკაცია, უშუალოდ ბედუკიძის მიერ გაკეთებული ფულის გამო. ვინც ფულს იხდიდა ამაში და ძალიან დიდ ფულს, არანაკლებ თუ არა, მეტად დამნაშავეა. ვინც ამ კადრებს ინახავდა პოლიტიკური მიზნებისთვის და ნაწილ-ნაწილ აჩვენებს, ისიც დანაშაულის პირდაპირი თანამონაწილეა. რადგან ასეთი საკითხის პოლიტიზირება და ასე გამოყენება, ნიშნავს მინიმუმ იმას, რომ ის ადამიანები, ვინც ამ ყველაფრის მსხვერპლნი გახდნენ, კვლავ ამ მდგომარეობაში იყვნენ.

როგორც კი მთავრობა გადადგება და სახელმწიფო სისტემას ბზარები გაუჩნდება, რაზეც სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ოცნებობს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. აქ ხელისუფლებაში ვიღაც ვარდისფერბაფთიანი უფლებათა დამცველები კი არ მოვლენ, პირდაპირ დაბრუნდება ორგანიზებული დანაშაული, რომელიც ამაზე ოცნებობს.

რა თქმა უნდა, ყველა დამნაშავე, მათ შორის, სახელმწიფო სტრუქტურებში ადეკვატურად და პროპორციულად დასასჯელია. მაგრამ მთავრობის გადადგომა, ეს ნიშნავს სახელმწიფოს რყევას, ეს ნიშნავს მაფიის დაბრუნებას ამ ქვეყანაში და ამ ქვეყნის მომავლის დასამარებას ძალიან დიდი ხნით.

მთავრობამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო ძალიან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა. პირველ რიგში ვგულისხმობ, უშუალოდ იდენტიფიცირებული დამნაშავეების დაჭერას, ასევე ვსაუბრობ პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებაზე და ორი მინისტრის გადადგომაზე.

...ია მთავრობის ...ობის საკითხი?

დიახ

ირაკლი ალასანია

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ასევე მთავრობის სხვა წევრები, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ამბობდნენ, რომ ბაჩო ახალაია არის რეფორმატორი, ეფექტური მინისტრი. ბაქრაძე ამბობდა, რომ ახალაიების ოჯახი ქართული სახელმწიფოს რეფორმირების სახეა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები არიან სადისტები და დამნაშავეები. რა თქმა უნდა, მთელი პასუხისმგებლობა ამ ტანჯვა-წამების შექმნაზე უპირველესად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ეკისრებათ – მიხეილ სააკაშვილს, დავით ბაქრაძეს, უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას, რაღა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა მინისტრს და ადეიშვილს, რომელიც ზედამხედველია კანონიერებაზე ყველა უწყებაში და მათ შორის – პენიტენციალურ სისტემაში.

როდესაც ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც საჯარო მოხელეებს აქცევს კოლექტიურ სადისტებად, ეს სისტემა და თავად ამ სისტემის შემქმნელები უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან. რა თქმა უნდა, მათი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს.

გადაყენებულია პენიტენციალური სისტემის მინისტრი, ასევე გადადგა თანამდებობიდან შინაგან საქმეთა მინისტრიც. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ვინმემ სამართლებრივი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე. სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. ჩვენ უნდა ვნახოთ, რომ ამ საზიზღარ დანაშაულში ეჭვმიტანილები წარსდგნენ ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

წლების მანძილზე საქართველოს უფლებათა დამცველები, საერთაშორისო თანამეგობრობა, ამერიკის, ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურები აფრთხილებდნენ ხელისუფლებას, რომ ციხეებში არის გაუსაძლისი, არაადამიანური პირობები. არცერთი მათი გაფრთხილება არ იქნა გათვალისწინებული. ეს ნიშნავს, რომ მთელ მთავრობას, საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მათ არა მხოლოდ უნდა დატოვონ თანამდებობები, არამედ მართლმსაჯულების წინაშე უნდაა წარსდგნენ.

როდესაც ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც საჯარო მოხელეებს აქცევს კოლექტიურ სადისტებად, ეს სისტემა და თავად ამ სისტემის შემქმნელები უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან. რა თქმა უნდა, მათი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს.

ფოტო ნიკო ფაღიანელაძისა

"ვიდრე პრეზიდენტი საპატიმროა, ვერავინ ვერაფერს შეცვლის"

ინტერვიუ ადვოკატ

ლია მუხაშავრიასთან

საქართველოში პატიმრების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა – სამწუხაროდ, ახლა ევროპაში ჩემპიონები ვართ. საპყრობილეების ადმინისტრაცია უძლურია ამ რაოდენობის პატიმრებს გაუმკლავდეს.

რამდენად დიდი საფრთხეა საზოგადოებისთვის ის, რომ ციხეებში ადამიანებს აწამებდნენ?

წამება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. ადამიანს, რომელმაც წამება და არაადამიანური მოპყრობა გადაიტანა, ისეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ექმნება, რომ სპეციალისტის დახმარება და რეაბილიტაცია სიკვდილამდე სჭირდება. ის 25 000 პირი, ვინც დღეს საპატიმროშია, რომ გამოვა, მეორეულ ტრავმას საკუთარი ოჯახის წევრებზე გადაიტანს. თუმცა, პატიმრის ახლობლობა უკვე ტრავმაა. ჩვენ ვხედავთ, რა დღეში არიან პატიმართა მშობლები და ოჯახის წევრები. გამოდის, რომ ფაქტობრივად, მთელი საზოგადოება ავადმყოფურ მდგომარეობაშია. ამას გარდა, ომების შედეგად ჩვენს ქვეყანაში ასობით ათასი დევნილია, რომლებიც წამების მსხვერპლნი არიან და მკურნალობა და რეაბილიტაცია არ გაუვლიათ – ეს ერთი კატეგორიაა, მეორე – ისინი, ვინც ჩვენს საპყრობილეებში დიდი ან მცირე დრო გაატარეს და მათი ოჯახის წევრებიც. პატიმრები ჩვენ, ადვოკატებსაც გვაყენებენ ტრავმას. ასე რომ,

წარმოიდგინეთ, რამხელა მასშტაბისაა ეს უბედურება.

ასე თუ შევხედავთ ამ სურათს – ეს მოსახლეობის განადგურებაა. მეორე მსოფლიო ომის მერე აღმოაჩინეს, რომ საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლები, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის კურსი გაიარეს, ძალიან მალე კვდებოდნენ. მერე დაიწყეს ამ მოვლენის შესწავლა და დაადგინეს, რომ რადგან ამ ადამიანებმა წამება გამოიარეს, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა კატასტროფულად შემცირდა.

თუკი ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ავირჩევთ, დადასტურდება, რომ მთელი საზოგადოება ავად ვართ. გიფიქრიათ, დევნილები რატომ აძლევენ ნაციონალურ მოძრაობას ხმას? მათი ფსიქიკა ტრავმირებულია, ისინი სწორ გადაწყვეტილებას, უბრალოდ, ვერ იღებენ. ჩვენ კიდევ მათ ვუყურებთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს.

იყო თუ არა თქვენთვის ცნობილი ის, რომ ციხეებში წამება სისტემურ ხასიათს ატარებდა?

რა თქმა უნდა, ვიცოდი ჩვენს სასჯელაღსრულების სისტემაში წამების მასშტაბების შესახებ. საქმეები, სადაც წამება ფიგურირებდა, ჩვენ მიერ გასაჩივრებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აქედან ზოგი საქმე უკვე მოგებულია: ჩეჩნების, რამიშვილი-კოხრეიძის – იქ წამების ელემენტები უკვე დადგენილია ევროსასამართლოს მიერ. ისე კი, ჩვენ მიერ სტრასბურგში გაგზავნილ თითქმის ყველა საქმეში არის ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევა, ეს მუხლი წამებას და არაადამიანურ მოპყრობას კრძალავს.

ისტორიას რომ გადავხედოთ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, გამოძიებას არ ჰქონდა საშუალება მტკიცებულებები მოეძიებინა, ექსპერტიზა ჩაეტარებინა და ამგვარად დაემტკიცებინა ვინმეს დამნაშავეობა. ამიტომ, გამოძიება ეჭვმინატანილებზე ზეწოლას მიმართავდა. თუ პირი აღიარებს, რომ დამნაშავეა, საქმე გახსნილია და უკვე შეიძლება ის სასამართლოში წარიმართოს. ამიტომაც იყო ხოლმე, რომ ყოველწლიურად 5-10 პატიმარი პოლიციის შენობის მეექვსე სართულიდან ხტებოდა, ანუ, როცა პატიმარი შემოაკვდებოდათ, ფანჯრებიდან ყრიდნენ ხოლმე. მაშინ ეს სისტემური პრობლემა იყო, ოღონდ მხოლოდ გამოძიების ეტაპზე. შემდეგ, როდესაც პირს მიუსჯიდნენ და ის ზონაზე, კოლონიაში გადავიდოდა, იქ უკვე, როგორც წესი, აღარ აწამებდნენ. ციხის ადმინისტრაციას ესმოდა, რომ მათგან ინფორმაციის ამოღების ინტერესი უბრალოდ აღარ არსებობდა. თუ ხდებოდა წამების ფაქტები, არასისტემურად – ეს კერძო პირის სადისტური საქციელი იყო, რომელზეც მაშინაც თვალს ხუჭავდნენ.

რევოლუციის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ამის ახსნა, თუ რატომ ხდება წამება არა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე, არამედ, შემდეგაც, ადვილად შეიძლება. საქართველოში პატიმრების რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა – სამწუხაროდ, ახლა ევროპაში ჩემპიონები ვართ. საპყრობილეების ადმინისტრაცია უძლურია ამ რაოდენობის პატიმრებს გაუმკლავდეს. ამიტომ, მათ სჭირდებათ ყველას დატერორება, მიუხედავად იმისა, არღვევს თუ არა პატიმარი ციხის შიდაგანაწესს. ეს სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ ადმინისტრაციამ ამ რაოდენობის პატიმრებს მოუაროს. ეს ესმის ყველას, ვინც სისტემის შიგნითაა – რომ მოხდეს და პატიმართა რაღაც ჯგუფმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადოს, ადმინისტრაციისთვის კატასტროფა იქნება. ეს შიში და ამ სიტუაციის რეალური აღქმა მათ უბიძგებთ ტერორისა და წამებისკენ. პატიმარი ფეხს შედგამდა თუ არა საპყრობილეში, იწყებოდა ე.წ. „დაჩმორების“ პოლიტიკა, რათა მას რაიმე უკანონობის წინააღმდეგ ხმის ამოღება ვერ გაებედა. ამიტომაა დღეს წამება სასჯელაღსრულების ტოტალური და სისტემური პრობლემა, ყველა ინსტანციაში, სადაც პატიმარი ხვდება – პოლიციიდან იზოლატორში და შემდეგ – საპყრობილეში.

პრეზიდენტმა თქვა, რომ საპყრობილეებში პატრულს შეუშვებდა და ის გააკონტროლებდა სიტუაციას. თუმცა, შემდეგ ვნახეთ, რომ პოლიცია მხოლოდ გარე პერიმეტრზე იყო შესული და არა – შიგნით.

პოლიციის შესვლა საპატიმროებში სრულიად დაუშვებელია. 2000 წელს, საპატიმრო სისტემა გამოვიდა შსს-ს დაქვემდებარებიდან და იუსტიციის სამინისტროს გადაეცა. ეს ევროსაბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ზეწოლის შედეგად მოხდა. მაშინ, როგორც გითხარით, პრობლემა იყო გამოძიების ეტაპზე და რახან პოლიცია იძიებდა, მის ინტერესებში იყო პატიმარი სრული კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა, რათა მას ვერ გაესაჩივრებინა წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტი. ის, რომ სასჯელაღსრულების სისტემა გამოვიდა შსს-დან ძალიან სერიოზული მონაპოვარი იყო. ეს ამბავი 2000 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. ამ ყველაფრის უკან შებრუნება ძალიან ცუდი გადაწყვეტილებაა, სასჯელაღსრულების ადგილებში პოლიციის შეშვება დაუშვებელია, რადგან, ჩვენ ვნახეთ, რომ გამოძიებისგან სასჯელაღსრულების გამოცალკევებამაც ვერ უზრუნველყო ის, რომ წამება სისტემური და ტოტალური არ გამხდარიყო. როგორც ჩანს, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დიპლომატიურმა კორპუსმა და სწორედ ამიტომ აღარ შეუშვეს პატრული სასჯელაღსრულების ადგილებზე და გარეპერიმეტრზე დატოვეს.

როგორ ფიქრობთ, რას უნდა ველოდეთ გამოძიების კუთხით? 10 პირია დაკავებული. მოსალოდნელია ამ საქმეების ობიექტურად გამოძება?

2006 წლის ციხის ბუნტის დროს, ისიც კი ვერ გავიგეთ, რამდენი პატიმარი გარდაიცვალა. მაშინ არასამთავრობოები ობიექტურ გამოძიებას მოვითხოვდით.

გამოგვეხმაურა ევროპის საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ევროპის საბჭოს სახელით მანაც მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ობიექტურად გამოეძიებინა ეს საქმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმე ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოებს უნდა გამოეძიებინათ. არც მაშინ, 2006 წელს,

არც დღეს საქართველოში არ არსებობს გამომძიებელი, რომელიც ან შსს-ს ან იუსტიციის უწყების დაქვემდებარებული არ არის. ამიტომ, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება ამ ქვეყანაში თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შეუძლებელია.

2006 წლის ციხის ბუნტი არ გამოუძიებიათ, მაგრამ გარწმუნებთ, ევროპის საბჭო ახორციელებს ზეწოლას ჩვენს ხელისუფლებაზე ამ საქმის გამოძიების მოთხოვნით და უკანასკნელი ამბების შემდეგ, ეს მოთხოვნა კიდევ უფრო დაჟინებული იქნება. სააკაშვილი განათლებით იურისტია და კარგად ესმის, რა მტკიცებულებები შეიძლება დადოს დამოუკიდებელმა გამოძიებამ მის წინააღმდეგ, ამიტომ, ყველანაირად ეცდება ამ მტკიცებულებების მოსპობას – ასე, როგორც წესი, კრიმინალები იქცევიან ხოლმე, როცა მტკიცებულებებს ანადგურებენ და მოწმეებს აშინებენ. სწორედ ამის უსუსური მცდელობა იყო, როცა პრეზიდენტმა ახალაიას უწყებას მისცა უფლება შესულიყო სასჯელაღსრულების სისტემაში და ეს არ გამოვიდა.

იმის გამო, რომ ახლა წინასაარჩევნო პერიოდია, საზოგადოების პროტესტმა შედეგი გამოიღო. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება იმდენადაა აღშფოთებული, და დასავლეთიდანაც ისეთი ზეწოლა იქნება, რომ სხვა გზა არ ექნებათ – უნდა გამოიძიონ ეს საქმეები.

სასჯელაღსრულების სამინისტრო, ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის ნაწილია. სასამართლოს პრობლემამ დღეს თითქოს უკანა ფონზე გადაინაცვლა. ვნახეთ ის, რაც ხდებოდა საპატიმროებში. მაგრამ არანაკლებად მძიმეა ისიც, რაც უკვე დიდი ხანია ვიცით – ჩვენს სასამართლოებში უდანაშაულო ადამიანს გამართლების თითქმის არანაირი შანსი არა აქვს.

უფრო მეტსაც გეტყვით – არსებობს ძალიან მარტივი პრინციპი. თუკი მტკიცებულება ამოღებულია წამების შედეგად, დაუშვებელია მისი გამოძიებაში გამოყენება. ეს დადგენილია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით და გაეროსა და ევროპული წამების საწინააღმდეგო კონვენციებით. შარშან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა გერმანული საქმე, სადაც პირმა ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული. გაიტაცა ადამიანი და გამოსასყიდის გადაუხდელობის გამო მოკლა. ეს ფაქტი დადასტურდა. მაგრამ, ვინაიდან ეს პირი დაკავების შემდეგ პოლიციაში აწამეს, სასამართლო აღმოჩნდა დილემის წინაშე. მტკიცებულებები მოპოვებული იყო მისი წამების შედეგად და ის ვერ გახდებოდა

სასჯელაღსრულების სისტემის უმთავრესი პრობლემა პატიმართა რაოდენობაა. მინისტრი არ არის ის პირი, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება შეუძლია. იმ რესურსებით, რაც დღეს სასჯელაღსრულების სისტემას აქვს, ყველა თანამშრომელმა რომ პატიოსნად იმუშაოს, ამ რაოდენობის პატიმრების მიმართ სათანადო მოპყრობას მაინც ვერ უზრუნველყოფენ.

მისი დაკავების საფუძველი – ეს თქვა ევროპულმა სასამართლომ. მაშინაც კი, როდესაც პირი საშიში დამნაშავე იყო, ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი დაკავება წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე არ შეიძლებოდა.

მართლმსაჯულებას თუ ღრმად ესმის წამების მნიშვნელობა, მაშინ არაფრით არ უნდა დაუშვას, რომ აღიარება წამების შედეგად მოიპოვოს. იმიტომ რომ, წამების შედეგად მიღებული მტკიცებულება ვერ დაედება საფუძვლად განაჩენს. ჩვენი სასამართლო კი, როგორც წესი, თვალს ხუჭავს იმ ფაქტებზე, როცა ვიღაცები ბედავენ და აცხადებენ, რომ გამოძიებისას ადგილი ჰქონდა წამებას...

სასჯელაღსრულება იუსტიციის სისტემის ნაწილია. არის თუ არა მინისტრი ადეიშვილი პასუხიმგებელი იმაზე, რაც საპატიმროებში ხდებოდა?

იუსტიციის მინისტრი ვერ აიცდენს პასუხიმგებლობას იმის გამო, რომ პროკურატურა სასჯელაღსრულების ადგილებზე ზედამხედველობას ახორციელებს. მათ აქვთ სპეციალური სამსახური, რომელიც ვალდებულია გამოიძიოს ამგვარი ფაქტები. შეიძლება საზოგადოებამ არ იცის, მაგრამ კანონით სწორედ ასეა. ამიტომ, იუსტიციის მინისტრის პასუხიმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება.

გიორგი ტუღუშის ომბუდსმენად მუშაობას როგორ შეაფასებთ?

ომბუდსმენის კარიერის დასაწყისში გიორგი ტუღუშს სერიოზულად ვაკრიტიკებდით 2008 წლის დევნილებთან დამოკიდებულების გამო. შემდეგ მან ეს ხარვეზი გამოასწორა და საერთოდ, მისი მუშაობა, არა მარტო ჩემი, არამედ, ჩემი კოლეგების აზრითაც, მისაღები და კარგი იყო. სხვა საკითხია, რომ მას არ ჰქონდა გავლენა ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კვალიფიკაციურ ანგარიშებს აქვეყნებდა. სახალხო დამცველი მარტო კარგი ანგარიშების შემდეგენელი კი არ არის, არამედ, ის სამოქალაქო აქტივისტიც უნდა იყოს, იმგვარად, რომ ხელისუფლება აიძულოს – ანგარიში გაუწიოს მის რეკომენდაციებს. ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს აქტიური დიალოგი, საზოგადოება უნდა იყოს მუდმივად ინფორმირებული ადამიანის უფლებების დარღვევებზე. ომბუდსმენთან მედიას და უფლებადამცველებს თავისუფლად უნდა მიესვლებოდეთ. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ ტუღუშის მუშაობის ეს მხარე ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე. თუმცა, ჩვენ მოველოდით,

რომ ამ ნაწილსაც გამოასწორებდა, რადგან მან თავისი მუშაობის სამი წლის მანძილზე გაუმჯობესების გზით იარა.

უნდა ვთქვა, რომ გიორგი ტულუშმა ყველაფერი წყალში ჩაყარა იმ გადაწყვეტილებით, რომელიც გუშინ მიიღო. გული მწყდება – ჩვენ კარგი სახალხო დამცველი დავკარგეთ და უვარგისი მინისტრი მივიღეთ, იმ პორტფელით, რომელიც მას ჩაბარდა, დარწმუნებული ვარ, ის სისტემური ცვლილებების გატარებას ვერ შეძლებს.

რატომ ვერ შეძლებს? გიორგი ტულუშმა უკვე გუშინ გამოიყვანა ავადმყოფი პატიმრები, გაათავისუფლა ის პირები, ვინც პატიმრებს არასათანადოდ ეპყრობოდნენ, ციხეებში შეუშვა ჟურნალისტები...

სასჯელაღსრულების სისტემის უმთავრესი პრობლემა პატიმართა რაოდენობაა. მინისტრი არ არის ის პირი, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება შეუძლია. იმ რესურსებით, რაც დღეს სასჯელაღსრულების სისტემას აქვს, ყველა თანამშრომელმა რომ პატიოსნად იმუშაოს, ამ რაოდენობის პატიმრების მიმართ სათანადო მოპყრობას მაინც ვერ უზრუნველყოფენ. მაგრამ მეორე და უფრო მძიმე პრობლემა ისაა, რომ რაც სასჯელაღსრულების სისტემაში ხდება, მხოლოდ ტულუშის წინამორბედი მინისტრების პასუხისმგებლობა არ არის. ეს პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგია. ამის შედეგი იყო ისიც, რომ მაქსიმუმს უსჯიდნენ სასამართლოები, ამის შედეგი იყო ისიც, რომ კანონმდებელმა სასჯელთა შეკრება შემოიტანა, რამაც საპატიმროებში მსჯავრდებულების რაოდენობა კატასტროფულად გაზარდა. ეს პოლიტიკა პირადად სააკაშვილის მხრიდან მოდიოდა, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გამოცხადებისას მან ციხის თანამშრომლებს პირდაპირ უბრძანა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პირდაპირ და დამიზნებით ესროლეთ ნებისმიერ პატიმარსო. ნუ დაგვავიწყდება – სააკაშვილი პირველი პირია როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო თვალსაზრისით და მისი განკარგულება სავალდებულოა საჯარო მოხელეებისთვის.

სწორედ ამ პოლიტიკის ნაწილია ის, რაც ჩვენმა საზოგადოებამ ტელევიზიით იხილა. რატომ გვიკვირს ეს? პრეზიდენტი რჩება, მთავრობა, რომელიც მის ამ პოლიტიკას „წარმატებით“ ახორციელებდა, რჩება და მეტიც – ამ „წარმატებებზე“ წინასაარჩევნოდ ბაქრაძეც გვესაუბრება, ისევე როგორც, ნაცმოძრაობის ყველა მაჟორიტარი კანდიდატი.

ეს პოლიტიკა ხომ არავის შეუცვლია? მარტო ტულუში კი არა, მთელი მთავრობაც რომ შეიცვალოს თავის პრემიერიანად, ვიდრე პრეზიდენტი სკამზეა და ვიდრე ისაა კონსტიტუციით ყველაზე მაღალი უფლებამოსილი პირი, ვერავინ ვერაფერს შეცვლის.

ესაუბრა ნინო ბექიშვილი.

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ფოტო: ლევან ნარგულიძე

პატიმრების ნათესავები გლდანის მე-8 საპყრობილესთან, 21 სექტემბერი 2012

ტეხილი სიხეში

ვიდეოკადრებში ჩანს, როგორ ცემენ, აწამებენ, აუპატიურებენ პატიმრებს. ამისთვის იყენებენ ხელკეტს, ცოცხს, სიგარეტს... შემდეგ პატიმარს აიძულებენ ეს სიგარეტი მოწიოს. ისმის მსჯავრდებულთა ყვირილი, კვნესა, ტირილი... ისინი ციხის თანამშრომლებს სთხოვენ შეწყვიტონ წამება, თუმცა ამაოდ.

ზურაბ ვარდიაშვილი

„ქურდობა გინდა? გცივა ხო? ჩაიწიე ტრუსიკი და სამჯერ ქენი ბუქნი, შემოტრიალდი, კიდევ გააკეთე... ჩაიცვი... ახლა ქათამი ხარ უკვე, შენი დედაც... გადაგიღებ და რუსთაველზე გავაკრავ“.

„შემოტრიალდი, წაიკუზე, გაუკეთე ისევ“... „გთხოვ, შეწყვიტეთ, ყველაფერს გავაკეთებ, არ გინდათ“ – ტირის პატიმარი... „რა იყო, გეტკინა? ძაან გეტკინა? არ გსიამოვნებს?“ ისმის პასუხად...

ოცამდე თანამშრომლის წრეში სათითაოდ შეჰყავთ ხელებშეკრული პატიმრები. მათ აგინებენ, აფურთხებენ, ურტყამენ ხელკეტებს, ფეხებს. პატიმრები ეცემიან, დახმარებას ითხოვენ, თუმცა კვლავ აყენებენ, ისევ ურტყამენ, გაჰყავთ... შემდეგი...

ნახევრად შიშველ არასრულწლოვან პატიმარს ეკითხებიან „სცემს, თუ არა პატივს ქურდებს“, გამუდმებით ურტყამენ ხელკეტებს, ემუქრებიან გაუპატიურებით. ისმის არასრულწლოვანის ტირილი, „გთხოვ, შეწყვიტეთ“..., „გამიშვით!“ „ნუ მკლავთ!“

ციხეში პატიმართა წამების ბოლო კადრები ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეთერში 20 სექტემბერს გავრცელდა. ვიდეომასალაში ნაჩვენებია გლდანის მე-8 საპყრობილის თანამშრომლები როგორ ამღერებენ, დასცინიან და აწამებენ ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებს.

დღესდღეობით ვიდეოფირზე აღბეჭდილი ფაქტების გამო აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალჩინოსნებს. ესენი არიან: გაგა მკურნალიძე – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დავით ხუჭუა – გლდანის მე-8 საპყრობილის დირექტორი, ვიქტორ ყაჭეიშვილი – დირექტორის მოადგილე, ლევან ფურცხვანიძე – უსაფრთხოების განყოფილების უფროსი, გიორგი კვარაცხელია – რეჟიმის უფროსი ინსპექტორი, ოლეგ ფაცაცია – რეჟიმის განყოფილების უფროსი, მანუჩარ ლომთაძე – კონტროლის ინსპექტორი, გელა ცომაია – ოპერატიული მორიგე, ლევან ფხალაძე – საპყრობილის კონტროლიორი და ბორის ფარულავა – უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი.

რას ამბობს ყოფილი ინსპექტორი?

ვიდეოკადრები, რომლებიც ბოლო დღეებში ტელევიზიებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა, ციხიდან სასჯელაღსრულების დაწესებულების ყოფილმა თანამშრომელმა, მორიგე ინსპექტორმა ვლადიმერ ბედუკაძემ გამოიტანა. ბედუკაძე ახლა ბრიუსელშია. საქართველოს ხელისუფლებას მასზე ძებნა აქვს გამოცხადებული.

ორი წლის განმავლობაში ბედუკაძე ამ კადრებს (ზოგჯერ ღიად და ზოგჯერ – ფარულად) თავად იღებდა. ღიად გადაღებული კადრები, როგორც ბედუკაძე ამბობს, თავს ბაჩო ახალაიასთან იყრიდა. ბედუკაძის ინფორმაციით, კადრები ხელმძღვანელობასთან შესრულებული „სამუშაოს“ დასადასტურებლად და წამების მსხვერპლთა კომპრომენტირებისთვის გამოიყენებოდა.

ბედუკაძე ჰყვება, რომ წამება სასჯელაღსრულების სისტემაში ბაჩო ახალაიას მოსვლის დღიდან მმართველობის ნაწილად იქცა. მისი თქმით, არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ვიდეო მასალები, რომლებიც ბაჩო ახალაიასთან ინახება. „იქ არის წამების, მკვლელობების, გაუპატიურებების ფაქტები“. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტთან საუბრისას ბრიუსელში მყოფმა ბედუკაძემ თქვა: „ვიდეო მუხაძემ თვითონ გადაიღო, ესწრებოდა ოლეგ ფაცაცია, გულის პრობლემები ჰქონდა თეთრაძეს, გაუპატიურებისას ვეღარ მოზომეს და შემოაკვდათ. უკვე გარდაცვლილი

ჰას ამბობდა ვლადიმერ ბედუკაძე მედიასაშუალებებში

ვლადიმერ ბედუკაძემ ხუთშაბათს, 20 სექტემბერს „მაესტროს“ ეთერში თქვა, რომ პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო მასალის შესახებ კომენტარს აღარ გააკეთებს. „არანაირ კომენტარს აღარ გავაკეთებ ამის შემდეგ“, – თქვა ბედუკაძემ.

ამ განცხადების გაკეთებამდე ბედუკაძე „მე-9 არხს“, სტუდია „ობიექტივს“, რადიო „პალიტრას“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს ესაუბრა.

„თუ რომელიმე პატიმარი დამადებს ხელს და იტყვის, რომ ჩემ მიერ არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, მზად ვარ გავიზიარო პასუხისმგებლობა“, ამის შესახებ ბედუკაძემ პირველ არხს განუცხადა. ის ამბობს, რომ ვიდეო გადაღებას ღია მეთოდებით, ციხის დირექტორის დავალებით ახორციელებდა. ბედუკაძის თქმით, საპატიმროში ვიდეოს „საინტერესო და იდეოლოგიურ მტრებს“ უღებდნენ.

„ამ ადამიანებს შორის იყვნენ როგორც კანონიერი ქურდები, ისე პოლიტიკური პატიმრები... ის კადრები, რაც მე დამიგროვდა, დაწუნებული მასალაა. მნიშვნელოვანი კადრები ახალაიას სეიფშია. მათ აქვთ მაღალი ხარისხის წამების, მკვლელობის, გაუპატიურების ვიდეომასალები“, – თქვა ბედუკაძემ სტუდია „ობიექტივის“ ეთერში.

არასრულწლოვანთა კოლონიაში და გლდანის საპყრობილეში წამების ამსახველი ვიდეო კადრები ბედუკაძის გადაღებულია. ის ამბობს, რომ ბოლო ვიდეო მისმა ორმა მეგობარმა აკობიამ და ფარულავამ გადაიღეს. „ისინი გმირები არიან“, – თქვა ბედუკაძემ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ კადრებს კი, სადაც ჩანს როგორ ურტყამენ ფხალაძე და ფარულავა პატიმარს, დადგმულს უწოდებს.

„ინფორმაციამ გაჟონა. ახალაიამ გაიგო, რომ მე რაღაც მასალა მქონდა, მაგრამ ვერ გათვალა რა მნიშვნელობის მასალა იყო და შეთითხნა ის კადრები, სადაც ფხალაძე და ფარულავა სცემენ პატიმარს. ვერავინ ვერ იტყვის ფხალაძეზე, რომ პატიმრებს სცემდა“, – თქვა აკობიამ.

როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელთან, ასევე „მე-9 არხისა“ და „მაესტროს“ ჟურნალისტებთან საუბრისას ვლადიმერ ბედუკაძემ განაცხადა, რომ ვიდეო მასალები მის მეგობარსა და თანამოაზრეს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს გადასცა. მოადგილის სახელსა და გვარს ბედუკაძე არ ასახელებს. ამბობს, რომ დრო მოვა და თავის სახელსა და გვარს ის თავად იტყვის.

„არ გჯერათ, რომ ვანოსთან შეიძლება ემუშავა პატიოსან ადამიანს? ჩვენი საერთო მიზანი იყო, რომ გვემხილებინა სისტემა. ვანო მერაბიშვილმა იცოდა, თუ არა ამის შესახებ, არ ვიცი“, – ამბობს ბედუკაძე.

ბედუკაძე ბაჩო ახალაიას გიჟს უწოდებს და ამბობს, რომ სისტემას ის ყოველთვის თავისი მეთოდებით მართავდა. „ის ყოველთვის მინისტრი იყო“, – აღნიშნა ბედუკაძემ შალვა რამიშვილის გადაცემა „სუბიექტურ აზრში“ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში. მან, ასევე, თქვა, რომ ახალაია მინისტრობიდან წასვლის შემდეგ საპყრობილეში „პალაჟენიის“ დასაყენებლად მიდიოდა ხოლმე და ისიც მაშინ, როცა ვინმე „განსაკუთრებული“ პირი იყო დასამორჩილებელი.

ბედუკაძე ორი მილიონი დოლარის აღების ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ კადრები ანგარების მიზნით არ გადაუღია. ის საფრანგეთის ელჩს მიმართავს და საქართველოდან მისი ოჯახის გამოყვანას ითხოვს.

გადაიყვანეს ე.წ. „რეზბალნიცაზე“ და გააფორმეს როგორც სიცოცხლეში შეყვანილი“.

სერგო თეთრაძის საქმე – 2011 წლის სექტემბერი

სამხედრო დაზვერვისა და საჰაერო ძალების ყოფილი ოფიცერი სერგო თეთრაძე თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა 2011 წლის 17 სექტემბერს საკუთარ სახლში დააკავეს. 24 სექტემბერს კი, ოჯახს შეატყობინეს, რომ პატიმარი გლდანის საპყრობილეში გულის შეტევით გარდაიცვალა.

უკვე 30 სექტემბერს ირაკლი ალასანიამ პოლკოვნიკ სერგო თეთრაძეს „ჯაშუშობანიით შეპყრობილი ხელისუფლების მორიგი მსხვერპლი“ უწოდა. ის ახალაიასა და მეგის ქარდავას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვდა. თავდაცვის სამინისტროს ოპოზიციის წარმომადგენლის ბრალდებაზე ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

გაზეთი „რეზონანსი“ მაშინ წერდა, რომ თეთრაძის ასაყვანად ბინაში თავდაცვის ექვსი თანამშრომლისგან შემდგარი ჯგუფი მივიდა. მათ შორის იყვნენ გამომძიებლები გიორგი ხევსური და ზურა გოგიჩაიშვილი. ბინის ჩხრეკა დამსწრეების გარეშე მოხდა. გიორგი ხევსურმა ჩხრეკის ოქმში მიუთითა, რომ აღმოჩენილ იქნა გეოგრაფიული რუკები და წითელი „ფლეშკა“, თეთრაძემ რამდენჯერმე თქვა, რომ ეს „ფლეშკა“ მას არ ეკუთვნოდა. უცნობია, რა ინფორმაცია ინახებოდა მეხსიერების ბარათზე. ჩხრეკის ოქმს თეთრაძის მეუღლემ ხელი არ მოაწერა.

ყოფილი პოლკოვნიკის დაკავების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახლში სწორედ ამ „ფლეშკისთვის“ მივიდნენ, რადგან იქ ხელისუფლების მაკომპრომენტირებელი მასალები ინახებოდა. იმ დღეებში თეთრაძის ოჯახის წევრები ჟურნალისტებთან ურთიერთობას თავს არიდებდნენ.

თეთრაძის დაკავების დღესვე, დაახლოებით ოთხ საათზე, მისი მეუღლე გიორგი ხევსურს დაუკავშირდა და

ქმრის ამბავი იკითხა. გამომძიებელმა უპასუხა, რომ არაფერი იცოდა, რადგან სერგო თეთრაძე „უფროსს ჰყავდა ზევით აყვანილი“. იმავე საღამოს, ახლობლებმა და მეგობრებმა თავდაცვის სამინისტროს შენობაში სერგო თეთრაძეს ადვოკატი – თამარ იასეიშვილი მიუყვანეს. უკან გამოსული იასეიშვილი ამბობდა, რომ თეთრაძე სასტიკად ნაცემი იყო.

18 სექტემბერს თეთრაძე დიღომში, ცენტრალური სამმართველოს დროებითი დაკავების საკანში გადაიყვანეს, სადაც მეუღლემ მას საჭმელი და ტანსაცმელი მიუტანა.

თეთრაძეს ბრალი, სავარაუდოდ, ჯაშუშობაში დაედო, თუმცა, დეტალები უცნობია, რადგან საქმეს საიდუმლო გრიფი ედო. 19 სექტემბერს საქალაქო სასამართლოში დახურული სხდომა გაიმართა, შენობის გასასვლელთან ახლობლებმა თეთრაძეს მოჰკრეს თვალი, რომელიც ცუდად გამოიყურებოდა, სიარული უჭირდა და ნაცემი იყო.

24 სექტემბერს გლდანის ციხიდან თეთრაძის დედას დაურეკეს და აცნობეს, რომ მისი შვილი ციხეში ინფარქტით დაიღუპა და შეეძლოთ, ცხედარი წაესვენებინათ.

გარდაცვალების ცნობის მიხედვით, სერგო თეთრაძე 23 სექტემბერს გარდაიცვალა. ის გლდანის ციხეში კარანტინში ჰყავდათ და როცა მისი მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა, იქვე ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სხვადასხვა ინტერნეტგამოცემის მიერ გავრცელებულ მასალებში „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი თეა წულუკიანი ამბობს, რომ ოჯახში მისვენებულ თეთრაძეს ნაცემი სახე მაკიაჟით ჰქონდა დაფარული. „როდესაც ოჯახმა ცხედარი შინ მოასვენა, ნახეს, რომ ექსპერტიზა უკვე ჩატარებული იყო, ხოლო ნაცემი სახე სქელი ფენა მაკიაჟით იყო დაფარული, ცხედარს სხვისი ტანსაცმელი ეცვა და ახლად გარეცხილ ბოტასებზე სისხლის კვალი ჩანდა“.

წულუკიანი იხსენებს, რომ თეთრაძის გარდაცვალების შემდეგ მისთვის საქმის დამატებითი დეტალები გახდა ცნობილი. კერძოდ, დაკავებული უზნაძის ქუჩაზე თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს. საკანში მასთან ბაჩო ახალაია შევიდა, თვითმხილველების თქმით, თეთრაძეს თავზე პარკი ჰქონდა ჩამოცმული და სასტიკად აწამებდნენ.

სიკვდილის ფაქტზე გამოძიებას სასჯელაღსრულების სამინისტროს სა-

ვინ არის მთავარი დამკვეთი? როგორ შეძლო პატიმარმა თამაზაშვილმა სასჯელაღსრულების სისტემის მრავალი თანამშრომლის, მათ შორის, მაღალჩინოსნების გადაბირება? რატომ ვერ მოხერხდა დანაშაულებრივი სქემის დროული გაშიფრვა? რა მოტივი ჰქონდა ელიზბარაშვილს? ესაა კითხვები, რომელსაც ოფიციალური ვერსია უპასუხოდ ტოვებს.

გამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი ვაკო გოგიშვილი ანარმოებდა თუმცა, დასრულდა თუ არა გამოძიება, სასჯელაღსრულების სამინისტრო ამ კითხვას არ პასუხობს.

ოფიციალური ვერსია

ოფიციალური ვერსიით, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა ავრცელებს, პატიმრების წამება, ვიდეოფირზე დაფიქსირება და ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ დამკვეთებისათვის გადაცემა ციხის თანამშრომლებს ამავე საპყრობილეში მყოფმა პატიმარმა თამაზ თამაზაშვილმა შესთავაზა.

თამაზ თამაზაშვილი სამართალდამცველებმა 2011 წლის 11 ოქტომბერს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ის ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრის, ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრია. თამაზაშვილი 2000-2002 წლებში კახეთის სამხარეო პოლიციას ხელმძღვანელობდა. კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასებით, ის პოლიტიკური პატიმარია. კოალიციის წარმომადგენლები თამაზაშვილისთვის წაყენებულ ახალ ბრალდებას აბსურდს უწოდებენ.

ოფიციალური ვერსიის მიხედვით, „მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, ოპერატიული მორიგე ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე და მათი გავლენის ქვეშ მყოფი რამდენიმე პირი წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ახორციელებდა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, რასაც იღებდნენ ვიდეოფირზე... დანაშაულის დამკვეთ მხარესთან კონტაქტის უზრუნველყოფა თავდაპირველად თამაზ თამაზაშვილის, ხოლო შემდგომ თამაზ ელიზბარაშვილის მეშვეობით ხორციელდებოდა“.

თამაზ ელიზბარაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ბიზნესმენია, ის პატიმრების წამებასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

ვინ არის მთავარი დამკვეთი? როგორ შეძლო პატიმარმა თამაზაშვილმა სასჯელაღსრულების სისტემის მრავალი თანამშრომლის, მათ შორის, მაღალჩინოსნების გადაბირება? რატომ ვერ მოხერხდა დანაშაულებრივი სქემის დროული გაშიფრვა, იმ პირობებში, როდესაც წამების ამსახველ კადრებში მოძალადეთა და მსხვერპლთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ფიგურირებს? რა მოტივი ჰქონდა ელიზბარაშვილს? ესაა კითხვები, რომელსაც ოფიციალური ვერსია უპასუხოდ ტოვებს.

ხელისუფლება „შეძრწუნებული და შოკირებულია“

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. პრეზიდენტის თქმით, ნანახმა იგი ძალიან გააბრაზა და „სულით ხორცამდე შეძრა“. პრეზიდენტმა მომხდარს „ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული შემზარავი აქტი“ უწოდა.

პრეზიდენტის სასახლეში მისულ იუსტიციის მინისტრს, პრემიერ-მინისტრს, მთავარ პროკურორსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალ უფროსს გიორგი ლორთქიფანიძეს მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა: „ვიღაც მანიაკების ხელში არ უნდა იყოს სისტემა ისე, რომ ადვილად მანიპულირებადი იყოს შიგნიდანაც და გარედანაც ცუდი ხალხის მიერ“.

მის თქმით, საქართველო, რომელსაც ის ყველასთან ერთად აშენებს „არ მოითმენს არც მსგავს დანაშაულს და არც რაიმე კლიმატს, რომელმაც შეიძლება რაიმე ამასთან მიახლოებული მოვლენა გამოიწვიოს“.

„ის, ვინც ეს ჩაიდინა, გაძლევთ სიტყვას, ციხეში მრავალ წელს გაატარებს“, – თქვა პრეზიდენტმა.

მას შემდეგ, რაც საპროტესტო ტალღა აგორდა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ თანამდებობა დატოვა. მანამდე კი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ჭაკუა გაათავისუფლა. თანამდებობიდან მოხსნეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დირექტორები.

კალმახელიძის თქმით, ის რაც გლდანის ციხეში მოხდა, „მისთვის უაღრესად შემაძრწუნებელია“ ყოფილი მინისტრი ირწმუნება, რომ „მისი მინისტრობის პერიოდში პატიმრების უფლებების დაცვას ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა.“

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, კალმახელიძე ყოფილმა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა ჩაანაცვლა, „მზად ვარ გავითვალისწინო ჩემ მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია“, – უთხრა მან ჟურნალისტებს.

„ჩვენ, ხელისუფლებამ, დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სათანადოდ ვერ შევაფასეთ ის სიგნალები, რომლებიც სახალხო დამცველისგან და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან, ამ სტრუქტურაში არსებული სისტემური პრობლემების შესახებ მოდიოდა“, – განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მსგავსად ისიც „შეძრწუნებული და შოკირებულია“.

20 სექტემბრის საღამოს საპროტესტო ტალღის პიკზე, შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია თანამდებობიდან გადადგა, მან გლდანის ციხეში მომხდარს „ამაზრზენი ფაქტი“ უწოდა, სახელისუფლებო ტენდენციას არც მან უღალატა და „შეძრწუნება“ გამოხატა. „ზოგიერთმა ხელმძღვანელმა პირმა, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ არ დაეშვათ მსგავსი ამაზრზენი ფაქტები, ჩემი ხელმძღვანელობის დროს დაიწყო მუშაობა სისტემაში. აქედან გამომდინარე, მე ვგრძნობ მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ჩვენ ვერ აღვკვეთეთ ეს საშინელი პრაქტიკა. ამიტომ მივმართე პრეზიდენტს ჩემი გადადგომის შესახებ თხოვნით“, – განაცხადა ახალაიამ. მინისტრის მოვალეობას მოადგილე ეკა ზღულაძე შეასრულებს.

საგულისხმოა, რომ ხათუნა კალმახელიძემ გადადგომის განცხადებით პრემიერ-მინისტრს მიმართა, ახალაიამ კი – პრეზიდენტს.

ბაჩო ახალაია იყო მეშვიდე მინისტრი, რომელმაც მერაბიშვილის მთავრობაში პოსტი დატოვა. როგორც იურისტი ვახუშტი მენაბდე „ლიბერალის“ ვებგვერდზე წერდა, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ერთი მესამედით განახლების შემთხვევაში, პრეზიდენტმა პარლამენტს ნდობის მისაღებად მთავრობის განახლებული შემადგენლობა უნდა წარუდგინოს. პრეზიდენტს ამისთვის ერთი კვირის ვადა აქვს, სტატიის დასრულების დროს ის მინისტრები, რომლებიც უწყებებს ხელმძღვანელობენ, მოვალეობის შემსრულებლებად ითვლებოდნენ – მთავრობა ავტომატურად დაიშალა.

სახალხო დამცველის „სიგნალები“

ომბუდსმენის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საპატიმროებში არსებულ მდგომარეობას სამასამდე გვერდი ეთმობა: არასათანადო მოპყრობის, წამების, ცემის, დამცირების ფაქტებს, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს თავად პატიმრები უყვებოდნენ, მაგალითად:

„მსჯავრდებულ გაიოზ ზ.-ს რაღაც დოკუმენტზე ხელის მოწერას სთხოვდნენ, უარის შემდეგ რამდენიმე თანამშრომელმა ცემა დაუწყო, პატიმრის განმარტებით, 7-8 პირი ურტყამდა, რომელთა ვინაობა არ იცის, მაგრამ რამდენიმე მათგანის ამოცნობა შეუძლია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს გაიოზ ზ.-ს ვიზუალურად შემდეგი დაზიანებები აღენიშნებოდა: ზედა ტუჩის მარჯვენა ნაწილში – მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, მარცხენა ყბის არეში – შეშუპება, შუბლის არეში მარჯვენა მხარეს – ექსკორიაცია, მარცხენა თვალბუდის არეში – სისხლნაჟღენთი. პატიმარი უჩიოდა თავბრუსხვევას, პირღებინების შეგრძნებას, სიმძიმის შეგრძნებას თავის არეში, განსაკუთრებით მარცხენა ნაწილში, მოვლით ტკივილებს თავში. უჭირდა მარცხენა თვალის სრულყოფილად გახელა, დარღვეული ჰქონდა კოორდინაცია, რის გამოც პრობლემები ექმნებოდა გადაადგილებისას“.

„კახაბერ ბ.-ს განმარტებით, 2011 წლის 27 ნოემბერს, ღამის საათებში, N17 დაწესებულებიდან თირკმლის მწვავე შეტევით, სასწრაფო წესით, გადმოიყვანეს N18 სამკურნალო დაწესებულებაში და მოათავსეს T-9 საკანში.

გიორგი ტუღუში გლდანის მე-8 საპყრობილესთან, 21 სექტემბერი 2012

მსჯავრდებულის თქმით, 2011 წლის 28 ნოემბრის საღამოს ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები, რის გამოც ითხოვდა ექიმის ნახვას. მსჯავრდებულის დაჟინებული თხოვნის საპასუხოდ N18 დაწესებულების თანამშრომლებმა იგი ჩაიყვანეს დაწესებულების მორგში და სასტიკად სცემეს. ამასთან, ერთ-ერთი თანამშრომელი, გიორგი ავსაჯანიშვილი, მას დაემუქრა გაუპატიურებით. კახაბერ ბ. აღნიშნავდა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შემდეგ იგი დაახლოებით 30-40 წუთის მანძილზე ხელებზე ბორკილდადებული მუცლით იწვა მორგის იატაკზე. მისი თქმით, მოგვიანებით გ. ავსაჯანიშვილმა მუქარითა და გინებით დააწერინა, რომ დაზიანებები, რომლებიც მსჯავრდებულს აღენიშნებოდა, მან თავად მიიყენა და რომ N18 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.“

„ახმედ ა. 2011 წლის 25 ივლისს გაიყვანეს დაწესებულების D კორპუსის მე-3 სართულზე განლაგებულ სამორიგეო ნაწილში, სადაც დაწესებულების თანამშრომლებმა, ვინმე ანზორმა და ირაკლიმ, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მიზეზი, პატიმრის თქმით, მის მიერ კანონით კუთვნილი გასეირნების მოთხოვნა და ადმინისტრაციისგან უარის მიღების შემდეგ შიმშილობის დაწყების სურვილის გაცხადება გახდა.

შემდეგ იგი ამავე დაწესებულების სამარტოო საკანში გადაიყვანეს, სადაც ხელბორკილები დაადეს, რეჟიმის უფროსი გაგა ლიპარტელიანი და კიდევ ერთი თანამშრომელი (რომლის სახელი და გვარიც არ იცის) დაჩოქებას აიძულებდნენ, რაზეც მსჯავრდებულმა უარი განაცხადა. მისი გადმოცემით, კვლავ სცემეს, შემდეგ კი შიშველი და ხელებზე ბორკილდადებული ე.წ. „ბოქსში“ გადაიყვანეს სადაც დაახლოებით 2 საათი გააჩერეს. ამის შემდეგ იგი საკანში დააბრუნეს. მსჯავრდებულის გადმოცემით, მას საკანში თავის ტკივილები და გულისრევის შეგრძნება დაეწყო. მან ექიმთან შეხვედრა მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა“.

„ვიღაც მანიაკების ხელში არ უნდა იყოს სისტემა ისე, რომ ადვილად მანიპულირებადი იყოს შიგნიდანაც და გარედანაც ცუდი ხალხის მიერ“.

პატიმრები ასახელებდნენ, და ომბუდსმენი თავის ანგარიშებში იმ თანამშრომელთა ვინაობას მიუთითებდა, რომლებიც პატიმრებს „არასათანადოდ“ ეპყრობოდნენ. წლების მანძილზე ამას რეაქცია არ მოჰყოლია, თუმცა დღეს მათი ნაწილი დაპატიმრებულია.

სახალხო დამცველი პარლამენტს, ხელისუფლებას თუ საზოგადოებას აწვდიდა გარდაცვლილ პატიმართა სტატისტიკას, გარდაცვალების მიზეზებს, გვიყვებოდა ე.წ. „სიკვდილის ექსპორტის“ შესახებ...

გიორგი ტუღუშის უწყება ასეთივე მოხსენებებს წინა წლებშიც ამზადებდა, მასზე გაცილებით უფრო მწვავე იყო მისი წინამორბედი სოზარ სუბარი... ის პირდაპირ ითხოვდა ბაჩო ახალაიას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას...

თუმცა, ვიდრე სკანდალური ვიდეო-კადრები არ გავრცელდა, ომბუდსმენის „სიგნალები“ შესაბამის უწყებებს არ გაუთვალისწინებიათ.

რეაქცია არ მოჰყოლია ბოლო დროს გახმაურებულ ზურაბ დელიანიძის საქმეებს. დელიანიძე 2012 წლის პირველ მაისს N18 სამკურნალო დაწესებულე-

ბაში გარდაიცვალა. გარდაცვლილი პატიმრის მეუღლემ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მეუღლის წამებაში დაადანაშაულა, ვებპორტალმა tspress-მა გაავრცელა ფოტოები, რომლებზეც ცხედარს დაზიანებები აღენიშნებოდა. ამბის გავრცელებისთანავე მცირე მასშტაბიანი საპროტესტო აქციები დაიწყო. დემონსტრანტები ხათუნა კალმახელიძესთან შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა მაშინ სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურმა განაცხადა, რომ „მინისტრი ქალაქში არ იმყოფება“.

საერთაშორისო გამოხმაურება

მერვე საპყრობილეში პატიმართა წამების შესახებ ვიდეოების გავრცელებას საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია მოჰყვა. ისინი აქცენტს სწრაფ გამოძიებაზე, დამნაშავეების დასჯაზე, პატიმრების უსაფრთხოებასა და მსგავსი შემთხვევების პრევენციაზე აკეთებენ.

„საპყრობილეში პატიმართა მიმართ მოპყრობის შემაძრწუნებელი კადრების“ ნახვით „შოკირებული“ იყო საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიებთან შეთანხმებით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია:

„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს და სხვა ინციდენტები სიღრმისეულად და გამჭვირვალედ იქნას გამოძიებული და პასუხისმგებელი პირები მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ. პატიმართა მიმართ დამამცირებელი მოპყრობა ადამიანის უფლებათა დარღვევის უმნიშვნელოვანესი საკითხია, როგორც ეს სახალხო დამცველის ანგარიშებშია მოხსენიებული“.

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, ფილიპ დიმიტროვმა საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განაცხადა, ვიდეომასალაში ჩანს, რომ „ციხეში ხდებოდა რაღაც აღმაშფოთებელი“.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ დამნაშავეების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა გამოიყენოს.

„Human Rights Watch“-ის განცხადებით, აუცილებელია სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიება, პასუხისმგებელი პირების დაკავება, მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა და ამგვარი ფაქტების განმეორების აღსაკვეთად ზომების მიღება.

„სასჯელაღსრულების მინისტრმა გააკეთა განცხადება დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან წასვლისა და რამდენიმე პირის დაკავების შესახებ, თუმცა პატიმრების ცემა და ძალადობა არის სისხლის სამართლის დანაშაული და არ შეიძლება დამნაშავეებზე მხოლოდ დისციპლინარული სანქცია ვრცელდებოდეს“, – აღნიშნულია ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადებაში.

აშშ-ს საელჩომ ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ პატიმართა უფლებების დარღვევის შესახებ მათ ყოველწლიურ ანგარიშშიც იყო საუბარი.

„საქართველოს სახალხო დამცველს თავის ანგარიშში, ხოლო ჩვენ სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნული გვაქვს, რომ საქართველოში პატიმართა უფლებების დარღვევა სერიოზული საკითხია და ის უნდა გადაიჭრას. ვთხოვთ მთავრობას, გამოძიება სრულყოფილად და გამჭვირვალედ ჩაატაროს და უმოკლეს დროში, რომ პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა უზრუნველყოს“, – აღნიშნულია 19 სექტემბერს საელჩოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

სასჯელაღსრულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მოგვიანებით გავრცელებული ვიდეო მკაცრად დაგმო გაეროს ბავშვთა ფონდმაც (იუნისეფი). მათი თქმით, ბავშვების უფლებები დაცულია საერთაშორისო და რეგიონალური შეთანხმებებით, რომლებიც საქართველოს მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებულია. იქვე მოყვანილია ციტატა „ბავშვის უფლებათა კონვენციიდან“:

„არცერთი ბავშვი არ უნდა იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, ან სასჯელის მსხვერპლი“ (მუხლი 37, ბავშვის უფლებათა კონვენცია).

ბაჩო ახალაია

როგორც უფლებადამცველები, ად-

მიშა ზაქარეიშვილი:



ვაპროტესტებ იმას, რაც ვნახე. ქუჩაში გამოსვლით იმის დემონსტრირებას ვახდენ, რომ მრცხვენია, მრცხვენია ჩემი თავის და ჩემი ქვეყნის. ციხეში შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანი მოხვდეს, ჩემნაირი ადამიანები იქ სხედან და მათ აწამებენ. ეს მხოლოდ სოლიდარობის აქცია არ არის. ჩვენ ამ ნაბიჯით საკუთარ თავებსაც ვიცავთ.

80-90-იანების შემდეგ სტუდენტების ასეთი გამოსვლები აღარ ყოფილა. მოქალაქეებმა საკუთარი ძალა იგრძნეს და ეს ერთ-ერთი შედეგია.

კალმახელიძისა და ახალაიას გადადგომა პრაქტიკულად არაფერ შედეგს არ გამოიღებს.

ადამიანები არჩევნებზე უნდა მივიდნენ და იქ უნდა დააფიქსირონ, უნდათ თუ არა ასეთი რეჟიმი. მე არ ვამბობ, რომ არჩევნების შემდეგ თუ ხელისუფლება შეიცვლება, კარგი ცხოვრება მოვა. მაგრამ თუ ხელისუფლება შეიცვლება, კარგი ცხოვრების შანსი გაჩნდება. აღარავის აღარ უნდა დავუთმოთ ძალაუფლება, თორემ თუ ვინმეს ჩავაბარებთ მთლიანად, ვინც არ უნდა იყოს, მეც რომ ვიყო, ალბათ ასევე მოვიქცეოდი.

ფოტო: ბიორგი ბოგლუა

აქცია ფილარმონიასთან, 19 სექტემბერი 2012

ვოკატები, და ახლა უკვე ძებნილი ინსპექტორი, სკანდალური ვიდეოკადრების ავტორი ვლადიმერ ბედუკაძე ირწმუნებიან, სასჯელაღსრულების სისტემაში მოსვლიდან დღემდე, საპატიმროებს ყოფილი შს მინისტრი, ბაჩო ახალაია აკონტროლებდა.

ახალაიას პოლიტიკური კარიერა 2003 წელს „კმარას“ რიგებში, 23 წლის ასაკში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ სახალხო დამცველ სოზარ სუბარის მრჩევლად დაინიშნა, თუმცა მალე მრჩევლისა და ომბუდსმენის ურთიერთობა დაიძაბა. 2005 წელს ახალაია იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად გადაიყვანეს.

სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს, 2007 წლის 27 მარტს მოხდა „ციხის ბუნტის“ სახელით ცნობილი დარბევა ორთაჭალის ციხეში, რაც სახალხო დამცველის იმავე წლის ანგარიშშიც აისახა.

„როგორც არაერთმა პატიმარმა ჩვენთვის მოცემულ ახსნა-განმარტებებში განაცხადა, 27 მარტის ღამეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, ბაჩო ახალაია სპეცრაზმთან ერთად შესული იყო ციხეში, სადაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე პატიმარს. სწორედ ამან გამოიწვია ამბოხი, რაც, მიუხედავად გარკვეული წინაპირობის არსებობისა, უკვე სპონტანურად მოხდა. ამას ადასტურებს არაერთი პატიმრის თითქმის იდენტური ჩვენება. უნდა ითქვას, რომ ამ პატიმრებს საშუალება არ ჰქონდათ, წინასწარ ერთმანეთთან შეეთანხმებინათ მათი ჩვენებები“, – ვკითხულობთ ანგარიშში.

დარბევისას 7 პატიმარი დაიღუპა. პროკურატურის მხრიდან 27 მარტის ბუნტის გამოძიების შედეგები საზოგადოებისათვის დღემდე არ არის ცნობილი.

2008 წელს ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, შემდეგ კი მინისტრად დაინიშნა. მან სამხედრო უწყებაში სამი წელი გაატარა, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი შეცვალა.

მიხეილ სააკაშვილმა შს მინისტრად ახალაიას წარდგენისას აღნიშნა, რომ „ბაჩოს ძალიან ბევრი ერთგული მომხრე და ძალიან ბევრი მტერი ჰყავს, და ბევრი მტერი ჰყავს გარკვეული მიზეზების გამო“.

რა მიზეზებს გულისხმობდა სააკაშვილი? – პრეზიდენტს მაშინ ეს არ დაუკონკრეტებია.

დემონსტრაციების ქრონიკა

18 სექტემბრის საღამოს, კადრების გავრცელებისთანავე, საპროტესტო ტალღა სპონტანურად აგორდა. ადამიანებმა შეკრება ფილარმონიასთან დაიწყეს და მელიქიშვილის გამზირი გადაკეტეს, აქციის მონაწილეებს უფლებადამცველებმა სიტყვით მიმარ-

თეს. მიტინგზე „ქართული ოცნების“ მაისურებში ჩაცმული აქტივისტებიც გამოჩნდნენ, სიტყვით გამოვიდნენ კოალიციის წარმომადგენლები. მალე კოსტავას ქუჩაც გადაიკეტა. აქცია ღამის ოთხ საათამდე გაგრძელდა.

დემონსტრაცია მეორე დღეს, 12:00 საათზე განახლდა, 15:00 საათზე საპროტესტო გამოსვლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს, მალე მათ ილიას, სოხუმის, თეატრისა და კინოს, სამედიცინო და საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტებიც შეუერთდნენ.

პარალელურად დემონსტრაციები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, თელავში, გორში...

თბილისში მომიტინგეებმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესასვლელი გადაკეტეს. ისინი პირველი არხისგან აქციის პირდაპირ ეთერში გადაცემას ითხოვდნენ. აქციას მაუწყებლის ჟურნალისტი ეკა კვესიტაძეც შეუერთდა. ის მიტინგის გაშუქებას და საინფორმაციო სამსახურის უფროსის, ხათუნა ბერძენიშვილის გადადგომას მოითხოვდა. აქციაზე ჟურნალისტი ვახო სანაიაც იმყოფებოდა.

დაახლოებით 18:00 საათისთვის მიტინგის მონაწილეები „მოდულის“ შენობისკენ გაემართნენ. მათ გზადაგზა მოქალაქეები უერთდებოდნენ. ვაჟა-ფშაველას გამზირი გადაიკეტა. 19:00 საათისთვის ათასობით მომიტინგე „მოდულის“ შენობასთან შეიკრიბა. ზოგიერთ მანიფესტანტს, ხელში პროტესტის სიმბოლო – ცოცხი ეჭირა, აქცია მოდულის შენობასთან 21:00 საათისთვის დაიშალა.

ნახევარ საათში მოქალაქეები პროტესტის გამოსახატად გლდანის ციხესთან მივიდნენ. დაწესებულებასთან ასობით პატიმრის მშობელი, თუ ახლობელი რიგ გარეშე პაემანს ელოდა.

20 სექტემბერს, აქციის მესამე დღეს, საპროტესტო მოძრაობა კვლავ სტუდენტებმა განაახლეს, 15:00 საათისთვის უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილი მანიფესტანტები ბაჩო ახალაიას დასჯას მოითხოვდნენ, ისმოდა სკანდირება: „არ აწამო“. ნახევარი საათის შემდეგ მომიტინგეები ორთაჭალაში, იუსტიციის სამინისტროსკენ გაემართნენ, მსვლელობის გამო მელიქიშვილის გამზირი კვლავ გადაიკეტა.

17:00 საათზე აქცია გაიმართა ფილარმონიასთან, მოგვიანებით მათი ნაწილი პროკურატურასთან გამართულ აქციას შეუერთდა, გაერთიანებულმა მიტინგმა ორთაჭალის ციხესთან გადაინაცვლა, ციხის ფანჯრებიდან პატიმრები დემონსტრანტებს ხელს უქნევდნენ, „ჩვენ თქვენთან ვართ!“, „ძირს მოძალადეები“ – სკანდირებდნენ მანიფესტანტები.

18:30 წუთზე ორთაჭალაში მიმდინარე აქციის მონაწილეები ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციისკენ გაემართნენ. მათ ხალხი სწრაფად ემატებოდათ, კიდევ ერთხელ შეწყდა საავტომობილო მოძრაობა. 17:30 წუთზე, ყველა ქუჩა, რომელიც რეზიდენციას უერთდება, ხალხით შეივსო, ისმოდა მოწოდებები – „ძირს ახალაია“...

20:20 საათზე გლდანის ციხესთან სამასამდე ახალგაზრდა მივიდა. ისინი ციხის შესასვლელს მიუახლოვდნენ. დემონსტრანტებს გისოსებიდან პატიმრები ხელებს უქნევდნენ. შეკრებილები საპატიმროს კარებთან იდგნენ და სკანდირებენ „არ აწამო“, „ჩვენ თქვენთან ვართ“...

იმავე საღამოს მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა: თანამდებობიდან შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია გადადგა. ფილარმონიასთან შეკრებილი მომიტინგეებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მათ ბაჩო ახალაიას დასასჯელად საქართველოს ხელისუფლებას ვადა მეორე დღის 12 საათამდე მისცეს „გაუმარჯოს პატიმრებს“, „გაუმარჯოს სოლიდარობას“, „მიშა წადი“, „დაიჭირე მკვლელები“. ისმოდა აქციაზე...

ხატია ნადირაძე:

მართალია სტუდენტები ქუჩაში პატიმრების წამების კადრებმა გამოიყვანა, მაგრამ სტუდენტური პროტესტი დაგროვილი უკმაყოფილების გამოხატვა იყო: უსამართლობის განცდის, უპერსპექტივობის განცდის, იმის, რომ რაღაცები რიგზე არაა. ეს იყო პოლარიზება ხალხსა და მმართველობას შორის. როგორც კი ადამიანებმა იგრძნეს, რომ შეუძლიათ შეცვალონ და გავლენა მოახდინონ, ადრე არსებული დათრგუნულობა გაქრა. აქამდე სახელისუფლებო ელიტა არსებობდა ხალხისგან გამიჯნულად და წარმოაჩენდა, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყო. ხალხი კი პოლიტიკაზე გავლენას ვერ ახდენდა. თამაშის წესები მიღებული იყო არა ხალხის, არამედ სახელისუფლებო ელიტის მიერ.

ეს პროტესტი სწორედ ახალგაზრდებისგან დაიწყო, რადგან აქამდე ისინი ყველაზე იგნორირებულები იყვნენ და არ ჰქონდათ განათლების მიღების და წარმატების საშუალება საკუთარი უნარებით, თუკი მათ მშობლებს წინასწარ არ ექნებოდათ დაგროვილი კაპიტალი. სტუდენტები ყველაზე მეტად გრძნობდნენ, რომ არ არსებობდა და არც იარსებებდა არანაირი პერსპექტივა მათთვის, თუკი საკუთარ თავზე არ აიღებდნენ გარკვეული სახის პასუხისმგებლობას. დღესაც ალბათ, ყველანი ვაცნობიერებთ, რომ არჩევნების შემდეგ უნდა გავაგრძელოთ მთავრობის კონტროლი და ზეგავლენა, რომ თვისობრივად შევცვალოთ ჩვენ გარშემო არსებული რეალობა.

მთავარ თემაზე ასევე მუშაობდნენ:
ლიკა ზაკაშვილი, ანი ჭანკოტაძე,
ეკა მაღალდაძე

გადაცემა

ლიბერალი

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე
რადიო „ცხელი შოკოლადის“ ეთერში

სტუდენტები საპროტესტო აქციების განახლებას 24 სექტემბრიდან გეგმავენ

პატიმრების წამების წინააღმდეგ საპროტესტი აქციებში სტუდენტები პირველივე დღიდან აქტიურობდნენ. 20 სექტემბერს ჩატარებული ფართომასშტაბიანი აქციის შემდეგ სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფი შეკრების განსხვავებულ დროსა და ადგილს ასახელებდა. საბოლოოდ, 21 სექტემბერს სტუდენტთა მასშტაბური საპროტესტო გამოსვლა არ შედგა.

სალომე ცეცხლაძე

სტუდენტთა ჯგუფის, „ლაბორატორია 1918“-ის მიერ ორგანიზებული აქციების პარალელურად მიტინგები სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობებმაც დაგეგმეს. „ლაბორატორია 1918“-მა სტუდენტებს მოუწოდა, არ მისულიყვნენ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ აქციაზე.

„ხვალ, ერთიანი სტუდენტური მოძრაობა, რომელიც წლების განმავლობაში ატარებდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკას და დღემდე აქტიურად ცდილობს ჯანსაღი სტუდენტური პროტესტის ჩახშობას სხვადასხვა, მათ შორის, ძალადობრივი მეთოდით, აწყობს აქციას საქმის „ობიექტური გამოძიების“ მოთხოვნით. ჩვენი ღრმა რწმენით, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების გამტარი ჯგუფის მიზანია სტუდენტური პროტესტის დაშოშმინება და პროცესის უშედეგო აქციებით განეიტრალება. ამავდროულად, ამ ჟესტით ისინი საკუთარი შელახული რეპუტაციის რეაბილიტაციას ცდილობენ“, – ნათქვამია განცხადებაში.

სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების ორგანიზებით 21 სექტემბერს მიტინგები რამდენიმე უნივერსიტეტთან უნდა გამართულიყო. საბოლოო შეხვედრის ადგილი კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი იყო.

მათ ხუთი მოთხოვნა ჰქონდათ, მათ შორის, სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა წამების ფაქტების გამოძიება, სასჯელაღსრულებისა და პენიტენციალური სისტემის რეფორმის მონიტორინგი, მონიტორინგის პროცესში სტუდენტების ჩართვა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოში ერთი სტუდენტის შეყვანა.

„არ ვიშლებით, სანამ ხუთივე მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული ხელისუფლების მიერ!“ – ეწერა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შექმნილ მოწვევაში.

„ლაბორატორია 1918“-ში კი ფიქრობდნენ, რომ თვითმმართველობების მოთხოვნები ფორმალურია, ისინი ხელისუფლების თამაშს თამაშობენ და პროცესის მართვას ცდილობენ.

თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ „ლიბერალთან“ საუბარში თქვა, რომ აქციის დაგეგმვამდე „ლაბორატორია 1918“-ის წევრებსაც შეხვდა და შესთავაზა, ერთად ჩამოეყალიბებინათ მოთხოვნები და ერთად დაეგეგმათ მომდევნო აქცია. „მათ ბევრი იკამათეს და საბოლოოდ თქვეს, არაო. ხოლო გუშინ ღამით სოციალური ქსელებით რაც გავრცელდა, ეს იყო საშინელება. ვითომ, ჩვენ ვაპირებთ პროვოკაციებს, მანქანების დაწვას, დანგრევას – ეს, ალბათ, ისაა, რის გაკეთებასაც თვითონ გეგმავენ და უნდათ“, – გვითხრა გუბაძემ.

სტუდენტების კიდევ ერთი ნაწილი 20 სექტემბერს, ავლაბრის რეზიდენციასთან მიღებული გადაწყვეტილებისამებრ, დღის 12 საათზე ახმეტელის მეტროსთან შეკრებისთვის ემზადებოდა. „ფეისბუქზე“ გავრცელებული განცხადების მიხედვით, აქციის მონაწილეებს ახმეტელის მეტროდან გლდანის ციხესთან უნდა გადაენაცვლებინათ.

სტუდენტების საპროტესტო აქცია გლდანის მე-8 საპყრობილესთან, 21 სექტემბერი 2012

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

„ლაბორატორია 1918“-ის წევრებმა კი გადაწყვიტეს, რომ პირველ საათზე თსუ-ს პირველ კორპუსთან შეკრებილიყვნენ. მათი თქმით, პირველ საათზე აქცია იმიტომ დაიგეგმა, რომ სტუდენტურ თვითმმართველობებს 3 საათზე დაგეგმილი აქციის ჩატარების საშუალება არ მისცემოდათ. ეს, „ლაბორატორია 1918“-ის წევრთა აზრით, სტუდენტური პროტესტის არასწორი მიმართულებით განვითარება იქნებოდა. მოგვიანებით, სტუდენტურმა თვითმმართველობამ 21 სექტემბერს 3 სთ-ზე დაგეგმილი აქციის ჩატარება გადაიფიქრა. მათი თქმით, პატრიარქის მოწოდების შესაბამისად, არჩევნებამდე აქციებს წყვეტენ.

„თუ არჩევნებამდე ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება, აქციებს არჩევნების შემდეგ გავაგრძელებთ“, – განუცხადა „ლიბერალს“ დაჩი გუბაძემ.

აქციებს დროებით გამოეთიშა კიდევ ერთი სტუდენტური გაერთიანება „ნარინჯისფერი კლუბი“. მიზეზი თვითმმართველობის მხრიდან პროვოკაციები და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან მათი გამოყენების სურვილი იყო.

პატრიარქის განცხადების სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ არეულობა გამოიწვია სტუდენტების დანარჩენ ნაწილში. სტუდენტების ერთი ნაწილი ამბობდა, რომ პატრიარქის მოწოდების შესაბამისად, აქცია უნდა დაშლილიყო, მეორე ნაწილის თქმით, პატრიარქს ასეთი რამ არ უთქვამს, ხოლო მესამე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებას ახლა არჩევნების გადადების მიზნით, არეულობა ხელს აძლევდა, ამიტომ არჩევნებამდე პროტესტი საერთოდ უნდა შეეწყვიტათ, მეოთხე ჯგუფი კი აქციების გაგრძელების მომხრე იყო.

21 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეკრებილი სტუდენტების მცირე ჯგუფი დაიშალა, თუმცა ახმეტელის თეატრიდან გლდანის ციხის მიმართულებით სხვა სტუდენტების ნაწილმა საპროტესტო მსვლელობა მაინც მოაწყო ლოზუნგით: „არ აწამო“, „სიცოცხლე საფრთხეშია“, „ეს არ არის ცოცხების რევოლუცია“, „დაისაჯოს ბაჩო ახალაია“.

„ნარინჯისფერი კლუბი“ და „ლაბორატორია 1918“ აქციების განახლებას 24 სექტემბრიდან გეგმავენ.

მედია

წამების ქრონიკა ქართულ ტელევიზიებში

პატიმართა წამების ფაქტი „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ აქციების და სტუდენტთა მოთხოვნების შემდეგ გააშუქა.

გიორგი ჭეიშვილი

18 სექტემბერს ქართულმა ტელევიზიებმა გლდანის N8 საპყრობილეში პატიმართა წამებისა და გაუპატიურების კადრები გაავრცელეს. აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა, „იმედმა“, „მაესტრომ“, „მეცხრე არხმა“ და „კავკასიამ“ სხვადასხვა ტიპის ვიდეოები გაავრცელა, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ კი მომხდარი საერთოდ არ გააშუქა.

18 სექტემბერს, 18 საათიან „კურიერში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიდეო გავრცელდა. სიუჟეტში აღნიშნულია, რომ „გლდანის N8 საპყრობილეში პატიმართა ცემა და წამება მილიციის ყოფილი გენერლის თამაზ თამაზაშვილის დაკვეთით ხდებოდა“. შსს-ს ცნობის მიხედვით, ამ საქმესთან დაკავშირებით სამი ადამიანია დაკავებული: N8 საპყრობილის განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, განყოფილების კონტროლიორი ლევან ფხალაძე და განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა. იძებნება ვლადიმერ ბედუკაძე, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. სიუჟეტში აღნიშნულია, რომ ეს პირები წამების პროცესს კამერით იწერდნენ, ფირების სანაცვლოდ კი სოლიდურ თანხას იღებდნენ – „რაც შეეხება დარჩენილ ვიდეო მასალას, მისი ნაწილი იმდენად მძიმე იყო, რომ მათი ჩვენება ტელევიზიით შეუძლებელი გახდა“.

სიუჟეტში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილი მინისტრის ხათუნა კალმახელიძის განცხადებაც იყო გაშუქებული. კალმახელიძე აღნიშნავდა, რომ „პატიმართა უფლებების განუხრელი დაცვა არის და იქნება ამ სამინისტროს პრიორიტეტი და არავის არ მივცემთ საშუალებას ხელი შეგვიშალოს პატიმართა უფლებების დაცვაში“.

18 სექტემბერს, 19 საათზე ტელეკომპანია „მაესტრომ“ გადაცემა „სუბიექტურ აზრში“ პატიმართა ჯგუფური ცემის კადრები გაავრცელა, 18 სექტემბრის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში კი, ტელეკომპანია „მეცხრე არხმა“ ბრიუსელიდან მიღებული პატიმართა წამებისა და გაუპატიურებს 2011 წლის კადრები გაავრცელა. ვიდეომასალა ტელეკომპანიის ბრიუსელის ბიუროს გლდანის N8 საპყრობილის ყოფილმა თანამშრომელმა ვლადიმერ ბედუკაძემ მიაწოდა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც „მეცხრე არხზე“ პატიმართა წამებისა და გაუპატიურების კადრები გადიოდა, საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიის პირველ ნომრებს შორის ტელე-დებატები მიმდინარეობდა. დებატები 21 საათსა და 38 წუთზე დასრულდა, რასაც სე-

რიალი „დეტექტივები“ და „ჩემპიონთა ლიგის“ მატჩი მოჰყვა.

ტელეკომპანია „იმედის“ 18 სექტემბრის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში პირველ სიუჟეტად „ივანიშვილის რუსული ბიზნესის გაყიდვის ისტორია და ოფშორულ კომპანიებთან კავშირები“ გავიდა, მხოლოდ ამის შემდეგ გაშუქდა შსს-ს მიერ გავრცელებული პატიმართა წამების ფაქტები – „რამდენიმე პირი წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად პატიმრებს არაადამიანურად ექცეოდა, რასაც ისინი ვიდეოფირზე იღებდნენ. პატიმრების ცემის და ამის გადაღების მიზეზი კი დამკვეთი იყო. დამკვეთი კი საპყრობილეში მყოფი თამაზ თამაზაშვილია“.

21 სექტემბერს პროექტ „მედია გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისათვის“ ფარგლებში, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა“ და „მემო 98“-ის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით მომზადებული მონიტორინგის შედეგები გამოქვეყნდა. მონიტორინგი 18-20 სექტემბერს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის ამსახველი მასალების მედია გაშუქების მონიტორინგის შედეგებს მოიცავდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „რუსთავი 2“-მა მიმდინარე მოვლენები დაუბალანსებლად, მიკერძოებულად გააშუქა და შსს-ს ინფორმაცია საზოგადოებას როგორც ფაქტი, ისე მიაწოდა. 18 სექტემბერს, ტელეკომპანია 21 საათიან საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს გავრცელებული კადრები გაიმეორა, რასაც „მაესტროს“ გავრცელებული მასალა და ხათუნა კალმახელიძის ინტერვიუ დაემატა. ტელეკომპანია „მაესტრომ“ გადაცემა „პოლიტმეტრში“ პატიმრის ცემისა და თანამშრომლობაზე დაყოლიების ამსახველი მასალა პატიმრის მაიდენტიფიცირებელი ფორმით გაავრცელა, იგივე კადრები გაიმეორა „კავკასიამ“ 23 საათსა და 15 წუთზე გადაცემა „ბარიერში“, რაც ადამიანის უფლების შელახვად შეიძლება შეფასდეს. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი ფაქტების გაშუქება ხდებოდა დაუბალანსებლად და მიკერძოებულად.

19 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში შეკრებილმა სტუდენტებმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესასვლელი გადაკეტეს და არხისაგან მოვლენების ობიექტურ გაშუქებას, საეთერო დროის დათმობასა და მაუწყებელთან მიმდინარე აქციის პირდაპირ ეთერში ჩვენებას ითხოვდნენ.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც „მეცხრე არხზე“ პატიმართა წამებისა და გაუპატიურების კადრები გადიოდა, საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიის პირველ ნომრებს შორის ტელედებატები მიმდინარეობდა. დებატები 21 საათსა და 38 წუთზე დასრულდა, რასაც სერიალი „დეტექტივები“ და „ჩემპიონთა ლიგის“ მატჩი მოჰყვა.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, რომელმაც 18 სექტემბერს, პატიმართა წამებისა და გაუპატიურების მოვლენები არ გააშუქა, 19 და 20 სექტემბერს 20 საათიანი „მოამბის“ მთავარ თემად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები გამოყო.

პროექტ „მედია გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისათვის“ ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშში წერია, რომ 19 სექტემბრის „მოამბეში“ არ მოხვდა ინფორმაცია საპატრიარქოში დათა ახალაიასა და სოსო თოფურიძის ვიზიტის მიზნის შესახებ. ასევე, 20 სექტემბერს 21 საათსა და 57 წუთზე, საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ არხმა დაუშვა საგანგებო ჩართვის პრეცედენტი და შს დროებითი მინისტრის – ეკა ზღულაძის განცხადება გაავრცელა, თუმცა დღის საინფორმაციო გამოშვებებში არ მოხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ამსახველი ახალი მასალა, რომელზეც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა იყო ასახული.

19-20 სექტემბერს ტელეკომპანია „იმედზე“ პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ფაქტები კვლავ მთავარი მოვლენა იყო. სტუდენტთა საპროტესტო აქციებისა და პატიმართა ოჯახის წევრების კომენტარების გაშუქებისას არხი მიკერძოებულ მასალებს ავრცელებდა. საპროტესტო აქციების გაშუქებისას კი, ჟურნალისტები განვითარებულ მოვლენებს ოპოზიციური ძალის მიერ მართულ პროცესებად წარმოჩენას ცდილობდნენ.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებებში დაცულია ბალანსი და არ ვლინდება არხის მიკერძოებულობა, თუმცა, არხმა ყურადღება არ გაამახვილა პატიმრების გაუპატიურების ამსახველ მასალაზე. ასევე, მიკერძოებულად და დაუბალანსებლადაა შეფასებული არხის პოლიტიკური ტოკ-შოუები.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია „მეცხრე არხის“ მიერ მოვლენების გაშუქებისას გამოკვეთილი მიკერძოებულობის შემთხვევებზე, რის მაგალითადაც მოყვანილია ფაქტი, რომ 19 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში მოდულის შენობასთან სპეცრაზმის მობილიზების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, თუმცა კადრში მხოლოდ რამდენიმე სამხედროფორმიანი ადამიანი ჩანდა.

პატიმრების ცემა მეხანძრეობის ნაცვლად

ლანა ჩხეტიანი, „სტუდია მონიტორი“

გლდანში მდებარე ციხის საავადმყოფოს, ე.წ. „რესბალნიცას“, სადაც პატიმრები სამკურნალოდ გადაჰყავთ, არასათანადო მოპყრობის ადგილად არაერთი მსჯავრდებული ასახელებს. ვაჟა ცხვედიანი, ალექსანდრე თოლორდავა, გიორგი ავსაჯანიშვილი, ზურაბ ბულბულაშვილი – პენიტენციური სისტემის ამ თანამშრომლებს პატიმრები ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. ისინი ამჟამად ციხის საავადმყოფოში აღარ მუშაობენ, თუმცა პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომლებად რჩებიან.

გიორგი ოქროპირიძის საქმე

2011 წლის 1 დეკემბერს პატიმარი გიორგი ოქროპირიძე N1 საპყრობილიდან ჯანმრთელობის პრობლემების გამო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. 23 წლის გიორგი ოქროპირიძე C ჰეპატიტით არის დაავადებული და რამდენიმე დღეში მკურნალობის კურსი უნდა დაეწყო.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებისათვის მიცემულ ჩვენებაში ის აღწერს, რომ სამკურნალო დაწესებულებაში შესვლისთანავე მას ციხის თანამშრომლებმა, სარეჟიმო სამსახურის უფროსმა ალექსანდრე თოლორდავამ და უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა შეუარცხყოფის მიყენება დაუწყეს:

„მიწოდებდნენ ინტრიგანს, ვინაიდან საჩივრით მაქვს მიმართული ევროსასამართლოსთვის. გიორგი ავსაჯანიშვილმა მკითხა, რა სასჯელი მქონდა და რისთვის ვიყავი გადმოყვანილი სამკურნალო დაწესებულებაში. მითხრა, რომ დროებით გაქვს 13 წელი და დროებით გაქვს C ჰეპატიტიო და დამემუქრა სასჯელის დამატებით, ხერხემლის დაზიანებით და კიდევ სხვა დაავადებების შეყრით. მე ვკითხე, თუ რით დავიმსახურე შეურაცხყოფა, რაზეც მიპასუხეს, რომ სტრასბურგით“.

გიორგი ოქროპირიძემ C ჰეპატიტზე მკურნალობის პირველი ინექცია 21 დეკემბერს გაიკეთა. მისი თქმით, მკურნალობის დაწყებიდან მეორე დღეს დაწესებულების რეჟიმის უფროსმა, ალექსანდრე თოლორდავამ და უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გიორგი ავსაჯანიშვილმა ცემეს.

„22 დეკემბერს დილას იღება ჩემი საკნის ე.წ. „კორმუშკა“ და მეძახის ექთანი ნანა, რომელმაც მითხრა, რომ უნდა დამელია წამალი. მე ვუთხარი, რომ ჯერ საუზმე არ იყო დარიგებული და ამ პრეპარატის მიღება საჭირო იყო საკვების მიღების შემდეგ. ექთანი ლანძღვით გაბრუნდა და მითხრა, რომ საერთოდ არ მომიტანდა წამალს. ამ დროს საკანში გინებით შემოვარდა ალექსი თოლორდავა, რომელმაც გაშლილი ხელი დამარტყა კეფაში, გამიყვანა საკნიდან და შემიყვანა საორდინატოროში, სადაც კვლავ რამდენჯერმე გამარტყა და მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა“.

გიორგი ოქროპირიძე ციხეში მოხვედრამდე სპორტს მისდევდა და წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო. დღეს სასჯელს მკვლელობისა და ხულიგნობის მუხლებით იხდის და 13 წელი აქვს მისჯილი. თუმცა, იგი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ქართული სასამართლოს გადაწყვეტილება ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში აქვს გასაჩივრებული.

ოქროპირიძის ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი სოფიო ალექსიძე ოქროპირიძის წამებას სწორედ სტრასბურგში შეტანილ სარჩელს უკავშირებს.

„ფაქტია, რომ მას შემდეგ დაიწყო გიორგის მიმართ ცემის ფაქტები, რაც სტრასბურგმა დასაშვებად ცნო საჩივარი და დაევალა მთავრობას შესაბამისი პასუხების გაგზავნა. სახელმწიფო ამ გზით ცდილობს პატიმრების დაშინებას და მუქარის მეშვეობით აიძულებენ პატიმრებს გამოიხმონ საჩივარი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოდან“, – ამბობს ადვოკატი.

გიორგი ოქროპირიძე სახალხო დამცველის წარმომადგენლისათვის მიცემულ ჩვენებაში წერს, რომ მის ცემაში უშუალოდ მონაწილეობდნენ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გიორგი ავსაჯანიშვილი და სარეჟიმო სამსახურის უფროსი ალექსი თოლორდავა. სოციალური სამსახურის უფროსი ზურაბ ბულბულაშვილი კი, პატიმრის თქმით, მისგან ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით წესრიგის დარღვევის არჩადენილი ფაქტების აღიარებას მოითხოვდა.

„ვინაიდან ადმინისტრაციას სურდა დაეფარა მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, მან დაიწყო დისციპლინური საქმის წარმოება გიორგი ოქროპირიძის მიმართ და 22 დეკემბერს შეუფარდა დაწესებულებაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა 30 დღით, ხოლო მეორე დღეს 23 დეკემბერს კი – ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით“, ამბობს ადვოკატი სოფიო ალექსიძე.

განკარგულებაში, რომლის საფუძველზეც დაწესებულების ადმინისტრაციამ ოქროპირიძეს ადმინისტრაციული სასჯელები შეუფარდა, წერია, რომ გიორგი ოქროპირიძე „საკანში ხმაურობდა, არღვევდა წესრიგს და ცდილობდა ციხის თანამშრომლების პროვოცირებას, რითაც ხელი შეუშალა დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას“.

ოქროპირიძის დედა ცირა გოდერძიშვილი ამბობს, რომ ეს სიცრუეა: „სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს მისი თანასაკნელებიც, რომლებმაც დაადასტურეს, რომ არანაირ ყვირილს და სამართალდარღვევას გიორგის მხრიდან ადგილი არ ჰქონია“.

სახალხო დამცველის წარმომადგენლისათვის მიცემულ განმარტებაში ოქროპირიძის პალატაში მწოლიარე ორი მსჯავრდებული მართლაც არ ადასტურებს ოქროპირიძის მიერ წესრიგის დარღვევის ფაქტს. „მსჯავრდებულების განმარტებით, მათთვის უცნობია, თუ როდის აპირებდა მსჯავრდებული გიორგი ოქროპირიძე N18 საკნიდან სხვა საკნებში გადაძახებას, ვინაიდან მათ ასეთი ფაქტი ოქროპირიძის საკანში ყოფნისას არ დაუფიქსირებიათ“, – წერია სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ შედგენილ ოქმში.

გიორგის ოქროპირიძეს ხმაური რომც დაეწყო და თანამშრომლების მიმართ აგრესიული ყოფილიყო, ადმინისტრაციას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ნერვული აგზნებადობა C ჰეპატიტზე მკურნალობის თანმდევი პროცესია. ინტერფერონითა და რიბავირინით მკურნალობის დაწყების წინ, პაციენტი ხელს აწერს სპეციალურ თანხმობის ფორმას, სადაც წერია, რომ „მკურნალობამ შესაძლოა გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები, ემოციური ხასიათის ცვლილებები, შფოთვა, ხასიათის ცვალებადობა, დეპრესია, ძილის დარღვევა“.

ადვოკატი ამბობს, რომ არაადამიანური მოპყრობა ოქროპირიძის მიმართ ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობის დროსაც გაგრძელდა:

„მას შემდეგ, რაც გიორგი ოქროპირიძეს შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა, მოათავსეს სამარტოო საკანში, სადაც საწოლზე არ იყო საბანი, 24 საათის განმავლობაში არ ქრებოდა დენი და მოწვეთავდა ონკანი, რაც, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, არის არაადამიანური მოპყრობის ტოლფასი“, – ამბობს სოფიო ალექსიძე.

გიორგი ოქროპირიძე აღნიშნავს, რომ გიორგი ავსაჯანიშვილი მას ფიზიკური ლიკვიდაციითაც დაემუქრა. „მითხრა, რომ საქ-

მეში მიწერია თვითმკვლელობის მცდელობა და დამემუქრა, რომ გიპოვნიან მკვდარსო. აღნიშნულზე მე მინდა განვაცხადო, რომ სუიციდის მცდელობა არასდროს მქონია და არც ახლა და არც მომავალში არ ვაპირებ თავის მოკვლას“.

გიორგი ოქროპირიძის სამედიცინო ისტორიაში დევს 2011 წლის 14 დეკემბერს ფსიქიატრ თამარ ბაზღაძესთან კონსულტაციის ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ „2002 წელს გიორგის ჰქონდა სუიციდის მცდელობა, თუმცა, დეტალების გახსენება არ სურს“.

დედა, ცირა გოდერძიშვილი ამ ჩანაწერსაც სიცრუეს უწოდებს. „2002 წელს გიორგი იყო 12 წლის, იყო უჯანმრთელესი ბავშვი, წყალბურთელი, ქორეოგრაფიულ სტუდიაში დადიოდა, ძალიან კარგად სწავლობდა და არავითარი სუიციდის მცდელობა გიორგის არ ჰქონია“.

ცემის ფაქტიდან ერთი კვირის შემდეგ, 28 დეკემბერს გიორგი ოქროპირიძე მეთვრამეტე დაწესებულებაში ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტებმა მოინახულეს.

„ემპათიის“ დასკვნაში წერია, რომ პატიმარი „უჩივის ტკივილს გულმკერდის მარჯვენა ნახევრის არეში, მარჯვენა ბარძაყის არესა და მარჯვენა მუხლის არეში, რასაც უკავშირებს ცემის ფაქტს. დადის კოჭლობით, მარჯვენა ქვემო კიდურზე აქცენტით, ცდილობს მუხლში არ მოხაროს. შუბლის თმოვან არეში მარჯვნივ აღენიშნება ყავისფერი ლაქა, მტკივნეული, მარჯვენა დიდი ციბრუტის არე მტკივნეული, მარჯვენა მუხლის ლატერალური ზედაპირი ძლიერ ბაცი მოყვითალო, პალპაციით მტკივნეული. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ბლაგვი საგნით“.

ექსპერტებმა მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობა შეაფასეს, როგორც „განსაკუთრებულად სტრესული“. სპეციალური მეთოდით კვლევის შედეგად მას ასევე დაუდგინდა „პოსტტრავმული სტრესული აშლილობა“.

გიორგი ოქროპირიძემ გლდანის სამკურნალო დაწესებულება იანვრის ბოლოს დატოვა და სასჯელის მოხდა რუსთავის N6 დაწესებულებაში განაგრძო. 31 მაისს გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი კვლავ გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში დააბრუნეს. ოჯახი მდგომარეობის გართულებას შეწყვეტილ მკურნალობას უკავშირებს, 2011 წლის ნოემბერში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ოქროპირიძეს ღვიძლის ფიბროზის 1 სტადია ჰქონდა, 29 მაისს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით კი, მას ჯანმრთელობის უფრო დამძიმებული მდგომარეობა, კერძოდ კი ფიბროზის მეორე სტადია აღმოაჩნდა.

კახაბერ ბარათაშვილის საქმე

ციხეში არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა პატიმარი კახაბერ ბარათაშვილიც. ის სამკურნალო დაწესებულებაში 2011 წლის 27 ნოემბერს ღამით, რუსთავის N17 დაწესებულებიდან გადაიყვანეს. მსჯავრდებულს თირკმელში კენჭის გავლა ჰქონდა და აუტანელი ტკივილი აწუხებდა. მეორე დღეს იგი ადვოკატმა კახაბერ მუმლაძემ მოინახულა. პატიმარმა ადვოკატს უთხრა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მას ტკივილები დროებით გაუყუჩეს. იმ დღეს სამედიცინო გამოკვლევით უნდა დადასტურებულიყო, საჭირო გახდებოდა, თუ არა ქირურგიული ჩარევა. ადვოკატი პატიმრის სანახავად მეორე დღესაც, ანუ 29 ნოემბერსაც მივიდა, როგორც მუმლაძე ამბობს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ნაცემი იყო.

„ვერ ვიცანი პატიმარი, ისეთ დღეში იყო. მას აღენიშნებოდა თავის ქალაზე დაჟეჟილობები, სისხლნაჟღენთები, კისრის არეში, 45 წლის კაცი ტიროდა“, – იხსენებს ადვოკატი.

პატიმარმა ადვოკატს უთხრა, რომ გაუსაძლისი ტკივილების გამო საკანში არსებული სპეციალური ზარით ექიმების დახმარებას ითხოვდა, იგი მკაცრად გააფრთხილეს, რომ ზარით აღარ ესარგებლა. თუმცა, ტკივილებით შეწუხებულმა ბარათაშვილმა ზარი კვლავ დარეკა, რის შემდეგაც, როგორც თავად ამბობს. პალატაში ციხის თანამშრომლები შევიდნენ და ცემეს.

„ვინაიდან ტკივილები ძლიერდებოდა და ვიყავი საოცრად შეურაცხყოფილი, მივხოხდი კარებთან და რამდენჯერმე მივარტყი თავი, თან ვყვიროდი, რომ ექიმი მოსულიყო და გაეკეთებინა წამალი. ამის შემდეგ ისევ შემოცვივდნენ საკანში და იმის მაგივრად, რომ აღმოეჩინათ დახმარება, დამადეს ხელბორკილი და ცემით ჩამიყვანეს მორგში, დამაგდეს ბეტონის იატაკზე, რამდენიმე ადამიანი მცემდა წიხლებით, სახეში მირტყამდნენ გაშლილ ხელს... პერიოდულად მასხამდნენ ცივ წყალს ვედროებით დასამცირებლად. ამ დროს შემოვარდა გიორგი ავსაჯანიშვილი, რომელმაც დაიწყო ყვირილი და გინება, დაიწყო ქამრის გახსნა და მუქარა, რომ უნდა გავეუპატიურებინე. ერთ-ერთმა უთხრა, ამ ერთხელ ვაპატიოთო. მე ვეუბნებოდი, არ გრცხვენიათ, რას აკეთებთ, ვკვდები და ექიმი მჭირდება, რაზეც ავსაჯანიშვილი მოტრიალდა და ამას არაფერი არ უშველისო და კვლავ გაუპატიურებით დამემუქრა. იგი სხვა თანამშრომლებმა გაიყვანეს. ამის შემდეგ ბორკილებდადებული დამაგდეს მუცლით სველ იატაკზე, სადაც 30-40 წუთი ვიმყოფებოდი“, – ასე აღწერს ბარათაშვილი სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მისი ცემის ფაქტს.

ბარათაშვილისათვის ფიზიკური დაზიანებების მიყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ციხის საავადმყოფოს ადმინისტრაციამ მოითხოვა, თუმცა არა პატიმრის მიმართ არაადამიანური მოპყრობის, არამედ მის მიერ თვითდაზიანებების მიყენების ფაქტზე. ამ დროისათვის ციხის საავადმყოფოს ადმინისტრაციას ჰქონდა პატიმარ ბარათაშვილის მიერ დაწერილი ჩვენება, სადაც იგი მის სხეულზე არსებულ ტრავმებს თვითდაზიანებებით ხსნიდა. ადვოკატის თქმით, ბარათაშვილმა აღიარებითი ჩვენება, ავსაჯანიშვილის მხრიდან მუქარისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო დაწერა.

30 ნოემბერს პატიმარს ოპერაცია ჩაუტარდა, რის დროსაც შარდსაწვეთიდან 4 კენჭი ამოუღეს. ბარათაშვილის თქმით, მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა პალატაში გადაყვანის შემდეგაც გრძელდებოდა. პატიმარი აღნიშნავს, რომ მასთან შევიდა დაწესებულების დირექტორი ვაჟა ცხვედიანი: „მკითხა შვილის თაობაზე, ვუთხარი, რომ მყავს 8 წლის შვილი, რაზეც მიპასუხა, რომ ძალიან კარგი, შენ ჩვენ არ გვიცნობ, იფიქრე, შენს ცოლ-შვილზე. ამის შემდეგ ადგა, ერთხელ ნელა, მეორედ უფრო მაგრად და მესამედ ძლიერად დამარტყა სახეში გაშლილი ხელი“.

საგამოძიებო ორგანოებისთვის 30 ნოემბერს ფაქტის შესახებ უკვე ცნობილი იყო. გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკუ-

რატურას მიმართა როგორც ბარათაშვილის ადვოკატმა, ასევე სახალხო დამცველმა. თუმცა, გამოძიება მაშინვე არ დაწყებულა.

„გამოძიება უნდა დაიწყოს მყისიერად, როცა არსებობს შეტყობინება და გამოძიება არ უნდა ელოდებოდეს, როდის აცნობებს ამის შესახებ სახალხო დამცველი. სხვა წყაროებიდან როგორც კი ცნობილი გახდება, გამოძიება უნდა დაიწყოს მყისიერად", – ამბობს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

თუმცა, გამოძიება 2 დეკემბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო. საგულისხმოა, რომ გამოძიება თავდაპირველად დაიწყო არა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლით, არამედ პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების მუხლით.

„ჩვენი მოთხოვნა იყო გადაკვალიფიცირება, სისხლის სამართლის 144-ე პრიმა მუხლზე და რომ გამოძიება ჩაეტარებინა საქართველოს მთავარი პროკურატურის გამომძიებლებს. ჩვენი გულის მოსალბობად, გადაკვალიფიცირდა 333-ე მუხლზე. მეხუთე თვეა, რაც გამოძიება მიმდინარეობს და არანაირი შედეგი", – ამბობს ადვოკატი კახაბერ მუმლაძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას" ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, „ბარათაშვილს სხეულზე აღენიშნება სხეულის სხვადასხვა უბნის რბილი ქსოვილების მრავლობითი დაჟეჟილობები და სისხლნაჟღენთები, ორივე მხრის რბილი ქსოვილების მრავლობითი დაჟეჟილობა, მარჯვენა იდაყვის სახსრის არის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, მუცლის კედლის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ბლაგვი საგნით".

დენის ყვარელაშვილის საქმე

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურალო დაწესებულებაში რამდენჯერმე ცემის ფაქტი გაახმოვანა პატიმარმა დენის ყვარელაშვილმაც. მან სამკურნალო დაწესებულებაში თითქმის 2 წელი გაატარა. მისი მეუღლის თქმით, დაწესებულებაში მდგომარეობა ხელმძღვანელის შეცვლის შემდეგ დამძიმდა.

„ალეკო მუხაძე რომ მივიდა, იმის შემდეგ დაიწყო ზეწოლები, საშინელი. მერე ვაჟა ცხვედიანმა, გიორგი ავსაჯანიშვილმა დაიწყეს – გამოიტანეთ სარჩელი სტრასბურგიდან, გაწამებთ, აქედან ცოცხალი ვერ გახვალო", – ამბობს პატიმრის მეუღლე მადონა ყვარელაშვილი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, 2011 წლის 27 თებერვალს დენის ყვარელაშვილს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გიორგი ავსაჯანიშვილი ფიზიკურად გაუსწორდა. ოქმში წერია, რომ: „დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გიორგიმ სამჯერ მიაჯახა კედელს და თავი მიარტყმევინა კედელზე. ასევე, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. იგი აცხადებს, რომ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დროს გახდა ცუდად და დაკარგა გონება. ასევე აცხადებს, რომ დაზიანება ჰქონდა თავის არეში".

პრობლემაა ისიც, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე გამოძიებას იწყებს არა პროკურატურა, არამედ სასჯელაღსრულების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანო, საგამოძიებო დეპარტამენტი.

ყვარელაშვილი დაავადებულია ჰეპატიტის სამი ფორმით, აგრეთვე, აქვს კარდიოლოგიური პრობლემები. ადვოკატ მამუკა ნოზაძის თქმით, ზეწოლის მიზანი ისიც იყო, რომ პატიმარს მკურნალობის მოთხოვნა შეეწყვიტა.

„დენის ყვარელაშვილი სისტემატიურად ითხოვდა, რომ მას ჩატარებოდა ადეკვატური მკურნალობა, რომელსაც მიზანმიმართულად არ უტარებდნენ ექიმები. ადმინისტრაციის მხრიდან ხდებოდა სისტემატიურად ზეწოლა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მის მიმართ არაერთხელ ჰქონია ადგილი ფიზიკურ ანგარიშსწორებას. ის ასახელებს კონკრეტულ პიროვნებებს. ესენი არიან უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გიორგი ავსაჯანიშვილი, რეჟიმის უფროსი ალექსი თოლორდავა, სოციალური სამსახურის უფროსი ზურაბ ბულბულაშვილი, და დაწესებულების დირექტორი ვაჟა ცხვედიანი", – ამბობს მამუკა ნოზაძე.

ყვარელაშვილის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში 2011 წლის მარტში დაიწყო. ადვოკატის თქმით, მას შემდეგ საქმე წინ აღარ წასულა:

„მხოლოდ შემატყობინეს, რომ მიდის გამოძიება, მაგრამ არანაირი შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული, თავად დენის ყვარელაშვილიც კი არ არის ჯერჯერობით დაკითხული და მას არ მიეცა შესაძლებლობა გამოძიებისთვის მიეცა ჩვენება".

დენის ყვარელაშვილი ამჟამად რუსთავის N17 დაწესებულებაში იმყოფება. ყვარელაშვილის სამედიცინო ისტორიის მიხედვით, იგი ხშირად კარგავს გონებას, უჩივის ტკივილებს გულის არეში.

„ძალიან მძიმედ არის. ახლახან ვიყავი შეხვედრაზე შესული და ჩამეშალა, იმის გამო, რომ გამოვიდა, იყო ხუთი წუთი ზუსტად, გახდა ძალიან ცუდად, გაითიშა, არც ექიმები, არაფერი და გვერდზე მჯდომმა პატიმარმა მოკიდა ხელი და წაიყვანა", – გვითხრა მადონა ყვარელაშვილმა.

არასათანადო მოპყრობა, როგორც სასჯელის ფორმა

პენიტენციურ სისტემაში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობა სახალხო დამცველის ანგარიშში ყოველწლიურად ხვდება. გიორგი ტუღუში ამბობს, რომ არასათანადო მოპყრობა დასჯის ფორმად დამკვიდრდა:

„არასათანადო მოპყრობის ფაქტები იყო, ძირითადად, დასჯის ფორმით, როდესაც ადმინისტრაცია იყენებდა სხვადასხვა უკანონო ზომას პატიმრების დასჯის მიზნით, ასევე შეადგენდა მკაცრი რეჟიმის ნაწილს. იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა კანონიერი ზომების გამოყენება ხდებოდა ადმინისტრაციის მიერ, თუმცა, ამას თან ახლდა გარკვეული ფიზიკური ზემოქმედება", – ამბობს გიორგი ტუღუში.

სახალხო დამცველი და მსჯავრდებულთა ადვოკატები რამდენიმე პრო-

ბლემაზე მიუთითებენ, რომლებიც არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით არსებობს. მათი თქმით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ ფიზიკური დაზიანებების ექსპერტიზა თითქმის არასდროს ხდება. გარდა ამისა, პრობლემაა გამოძიების არასწორი კვალიფიკაციით დაწყებაც.

„ამოსავალი წერტილი, რა თქმა უნდა, არის დაზიანებების დროული დაფიქსირება და მათი აღწერა. როდესაც ექსპერტიზა ტარდება გვიან და დაზიანებები ფაქტობრივად ალაგებულია, ამას აზრი ეკარგება. ხშირად გამოძიება იწყება არა სპეციფიკური მუხლებით, რომელიც არის ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ იგივე 333-ე მუხლით, რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებ სანქციას ითვალისწინებს. ჩვენი კანონმდებლობა იცნობს ისეთ მუხლებს, როგორიცაა წამების, ასევე, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა“, – აღნიშნავს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

პრობლემაა ისიც, რომ პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება, ძირითადად, შიდა უწყებრივ დონეზე მიმდინარეობს. არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე გამოძიებას იწყებს არა პროკურატურა, არამედ სასჯელაღსრულების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანო, საგამოძიებო დეპარტამენტი.

დაუსჯელობის სინდრომი

დღეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში აღარ მუშაობენ ვაჟა ცხვედიანი, ზურაბ ბულბულაშვილი და გიორგი ავსაჯანიშვილი, თუმცა, ისინი კვლავ სასჯელაღსრულების სისტემაში რჩებიან. ყოფილი დირექტორი, ვაჟა ცხვედიანი ამჟამად N16 დაწესებულების დირექტორის მოვალეობას ასრულებს, გლდანის N8 დაწესებულებაში მუშაობენ გიორგი ავსაჯანიშვილი და ზურაბ ბულბულაშვილი.

„ისინი სამსახურიდან უნდა გაათავისუფლოს შესაბამისმა სამსახურმა, მათ, ყველაზე ცოტა, უნდა შეუჩერდეთ უფლებამოსილება გამოძიების მომდინარეობის პერიოდში, რომ არ ჰქონდეთ საშუალება ზემოქმედება მოახდინონ გამოძიებაზე რაიმე ფორმით“, – ამბობს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

კითხვებით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ვითხოვდით ინფორმაციას, რა ეტაპზეა გამოძიება თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით და რატომ არ გახდა პატიმრების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა ციხის თანამშრომელთა უფლებამოსილების შეჩერების საბაბი. თუმცა, პასუხი არ მიგვიღია.

პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით ასევე მივმართეთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს. ვითხოვდით წერილობით ინფორმაციას პატიმრების მდგომარეობისა და

ფიზიკური დაზიანებების ექსპერტიზა თითქმის არასდროს ხდება.

გამოძიება, როგორც წესი, არასწორი კვალიფიკაციით იწყება – არა პატიმრის მიმართ არაადამიანური მოპყრობის, არამედ მის მიერ თვითდაზიანებების მიყენების ფაქტებზე.

გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, თეა სუხიშვილმა საუბრის დროს ტელეფონი გაგვითიშა. შემდეგი სატელეფონო საუბრის დროს მან კითხვების ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნა გვთხოვა. იმავე დღეს „სტუდია მონიტორმა“ სამინისტროს კითხვები გადაუგზავნა. ამის შემდეგ პრეს სამსახურის ხელმძღვანელს ჩვენი სატელეფონო ზარებისთვის აღარ უპასუხია.

ჩვენ ასევე შევხვდით იმ ადამიანებს, რომლებსაც პატიმრები მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ. ციხის საავადმყოფოს ყოფილ დირექტორს მის საცხოვრებელ ბინასთან შევხვდით, თუმცა ვაჟა ცხვედიანმა ჩვენს კითხვებს არ უპასუხა.

მეთვრამეტე დაწესებულების სოციალური სამსახურის ყოფილ უფროსს, ზურაბ ბულბულაშვილს ტელეფონით დავუკავშირდით:

– სახალხო დამცველის ოქმებში პატიმრები წერენ, რომ მათზე ძალადობდით. გარკვევა მინდა, რატომ ამბობენ ასე? მეთვრამეტე დაწესებულების პატიმრები.

– არ ვიცი, ქალბატონო, აზრზე არ ვარ, რა უნდათ.

– სახალხო დამცველს ეუბნებოდნენ ამას, მასთან ჩვენებებში აღნიშნეს.

– არ ვიცი, პროვოკაციაა, არაფერი არ ვიცი – გვითხრა ბულბულაშვილმა.

სასჯელაღსრულების სამინისტრო პენიტენციურ სისტემაში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე საუბარს თავს არიდებს. „სტუდია მონიტორმა“ ისარგებლა შემთხვევით და სასჯელაღსრულების მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს რადიო „უცნობის“ გადაცემა „პოლიტბიუროში“ სტუმრობისას, პირდაპირ ეთერში დაუსვა კითხვა, თუ რატომ არ ხდება ფაქტების გამოძიება და რატომ რჩებიან მოძალადე თანამშრომლები კვლავ სასჯელაღსრულების სისტემაში.

მინისტრმა ჩვენს კითხვას ასე უპასუხა: „რეაგირება ყოველთვის იწყება და თუ აღმოჩნდება, გენერალური ინსპექციის მიერ, რომ საკითხის გაგრძელება არის საჭირო და რეალურად რაღაც დასტურდება, ყოველთვის გრძელდება ეს რეაგირება. ჩვენი რეაგირების შედეგად, პასუხისმგებლობა გარკვეული ადამიანებისა დადგა, არ დავიწყებ სახელების და გვარების დასახელებას, მაგრამ ჩვენი მხრიდან რეაგირება ყოველთვის ხდება. ჩვენ ვართ ის სისტემა, რომელიც ზრუნავს მსჯავრდებულებზე და ბრალდებულებზე, ვისაც აბარია ეს ადამიანები. ჩვენ ვზრუნავთ იმ ადამიანების უსაფრთხოებაზე, რომლებიც არიან პენიტენციური სისტემის გარეთ“.

თუმცა, სხვას ადასტურებს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია. ამ ინფორმაციის თანახმად: 2004-2011 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოებში წამების მუხლით განსახილველი სისხლის სამართლის საქმეები „სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების წინააღმდეგ არც შემოსულა და არც განხილულა“.

ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა „ლიბერალის“ ვებგვერდზე 2012 წლის 28 ივნისს.

"მეცხრე არხის" საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო

„მეცხრე არხი" ეყრდნობა მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რათა მათ უზრუნველყონ და დაიცვან არხის სარედაქციო დამოუკიდებლობა, დაეხმარონ „მეცხრე არხს" გაამყაროს საქართველოში პრესის თავისუფლება და დაიცვას დამოუკიდებელი აზრის თუ შეხედულების გამოხატვის უფლება."

— კახა ბექაური, "მეცხრე არხის" გენერალური დირექტორი



ლარი კინგი

CNN-ზე „ლარი კინგის შოუს" წამყვანი და ქველმოქმედი

„მეამაყება, რომ „მეცხრე არხის" მრჩეველთა საბჭოს წევრი გავხდი. როგორც ჟურნალისტისა და მედია კომენტატორისთვის, ჟურნალისტთა უფლებების დაცვა, პრესის თავისუფლების უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიოს მასშტაბით ჩემი კარიერის ქვაკუთხედს წარმოადგენს. „მეცხრე არხი", როგორც ნებისმიერი სხვა, ახალი, დამოუკიდებელი ახალი ამბების გამავრცელებელი ორგანიზაცია, აწყდება უპრეცედენტო გამოწვევებს საქართველოს ხელისუფლებისგან, რაც ხელს უშლის მის მისიას - ემსახუროს საქართველოს მოსახლეობას, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი საინფორმაციო და მედია წყარო. მისი ახალგაზრდა და იდეალისტური პერსონალი იმსახურებს იმ ამერიკელებისა და ევროპელების მხარდაჭერას, რომლებიც მათ მისიას იზიარებენ."

ლი ჰამილტონი

ყოფილი კონგრესმენი, 11 სექტემბრის კომისიის თანათავმჯდომარე და "ვუდროუ ვილსონის ცენტრის" ყოფილი პრეზიდენტი

"მე, როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენების გრძელვადიანი დამკვირვებელი, საკმაოდ მაშფოთებს მთავრობის მიერ დამოუკიდებელ მედიაზე განხორციელებული ზეწოლა და ყოველგვარი ის ძალადობა, რაც თავისუფალი პრესის განვითარებასა და მოქალაქეების მიერ თავისუფალი აზრის გამოხატვას ზღუდავს. "მეცხრე არხი" წარმოადგენს ახალ, მნიშვნელოვან, დამოუკიდებელ ხმას, რომელიც იცავს საქართველოს მოსახლეობის უფლებებს. მოუთმენლად ველი ჩემს კოლეგა-საბჭოს წევრებსა და "მეცხრე არხის" ხელმძღვანელობასთან მუშაობას, რომლის მთავარ მიზანს თავისუფალი სიტყვისა და აზრის დაცვა წარმოადგენს."

ლეს გელბი

საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საპატიო პრეზიდენტი, გაზეთ "ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო კორესპონდენტი და სარედაქციო გვერდის რედაქტორი

"თავის დროზე ამერიკელი ხალხი ვარდების რევოლუციის პრინციპებსა და იდეალებს – ქართველ ხალხს ეცხოვრა სიმშვიდეში და თავი დაცულად ეგრძნო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში – სიტყვით და საქმით მხარს უჭერდა. როგორც ჟურნალისტი, ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამ საქართველოს მთავრობის მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და დამოუკიდებელი მედიასაშუალებების ხელყოფის გამო. ტელეკომპანია "მეცხრე არხი" დამოუკიდებელი და თავისუფალი საინფორმაციო საშუალებაა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ემსახურება. როგორც ტელეკომპანიის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მხარს ვუჭერ მედიის თავისუფლებას საქართველოში."

რობერტ მენარდი

ფრანგი ჟურნალისტი და პრესის თავისუფლების საერთაშორისოდ აღიარებული დამცველი

"მთელი ჩემი პროფესიული მოღვაწეობა მსოფლიოს მასშტაბით თავისუფალი მედიის დაცვას დავუთმე. ტელეკომპანია "მეცხრე არხი" წარმოადგენს კეთილ ინიციატივას, რომელიც ცდილობს, საქართველოს მოსახლეობას შესთავაზოს ქეშმარიტად დამოუკიდებელი ინფორმაციისა და ახალი ამბების წყარო. თუმცა, წმინდა პოლიტიკური მოტივებით, ქვეყნის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ტელეკომპანია "მეცხრე არხს" მიზნების განხორციელებაში. გადაწყვეტილება, გავმხდარიყავი ამ საბჭოს წევრი, განაპირობა ჩემმა სურვილმა გლობალური ყურადღება მომეზიდა იმ გამოწვევებზე, რომელსაც "მეცხრე არხი" აწყდება მის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ხელისუფლების მხრიდან."

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი

"ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ღირსეული ადამიანების გვერდით ყოფნა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩემს ქართველ, ამერიკელ თუ ევროპელ კოლეგებთან ერთად ძალ-ღონეს არ ვიშურებდი ახალი თაობის ჟურნალისტების პროფესიული აღზრდისათვის, რამეთუ გვჯეროდა, რომ მაღალი სტანდარტების მქონე ჟურნალისტიკა საქართველოს დემოკრატიისა და ძლიერი მომავლის უტყუარი გარანტი იქნებოდა.აქედან გამომდინარე, როგორც "მეცხრე არხის" საბჭოს წევრი, ჩემს მიზანს დამოუკიდებელი მედიის ხელშეწყობა და ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება წარმოადგენს."

ფოტორეპორტაჟი

"არ აწამო!"

სამდღიანი აქციების ქრონიკა

ფოტო: გიორგი ბოხუა

აქცია ფილარმონიასთან, 19 სექტემბერი 2012

ფოტო ლევან ხარბედია

აქცია ფილარმონიასთან, 19 სექტემბერი 2012

ფოტო ლევან ხარბედია

აქცია „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“, 19 სექტემბერი 2012

აქცია თსუ-სთან, 20 სექტემბერი 2012

ფოტო: გიორგი გიგუაშვილი

პატიმრის ნათესავი მე-8 საპყრობილესთან, 19 სექტემბერი 2012

ფოტო: ალეკო ალეკოსიშვილი

ფოტო: გიორგი გოგუაძე

მსვლელობა პეკინის გამზირზე, 20 სექტემბერი 2012

ფოტო: ფრენს ოგანოვაძე

მსვლელობა პეკინის გამზირზე, 20 სექტემბერი 2012

აქცია მოდულის შენობასთან, 20 სექტემბერი 2012

ფოტო: სოფო ავბაბუაძე

აქცია მოდულის შენობასთან, 20 სექტემბერი 2012

ფოტო: ფანა ოგანეზე



ფოტო: გიორგი გოცელია

ფოტო: თორნიკე ზურაბაშვილი

აქცია გლდანის მე-8 საპყრობილესთან, 20 სექტემბერი 2012



აქცია პროკურატურასთან, 20 სექტემბერი 2012

აქცია პრეზიდენტის რეზიდენციასთან, 20 სექტემბერი 2012

ფოტო: ბორის ბოგვალი

პატიმრის ნათესავი გლდანის მე-8 საპყრობილესთან, 21 სექტემბერი 2012

აქცია კოსტავას გამზირზე, 21 სექტემბერი 2012

ფოტოები ლევან ხერხეულიძე

აქცია გლდანის №-8 საპყრობილესთან, 21 სექტემბერი 2012

აქცია კოსტავას გამზირზე, 21 სექტემბერი 2012

არასამთავრობოები პოლიტიკური ზეწოლის ფაქტების შესახებ

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის ფაქტები მოხვდა იმ სპეციალურ ანგარიშებში, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა.

ზურაბ ვარდიაშვილი

„სახლიდან გამოვდიოდი, როდესაც პოლიციელები შემომეხვივნენ, ხელები ამომიტრიალეს და ძირს დამაწვინეს, ეს ჩემმა მეუღლემ და შვილმა დაინახეს და ჩემკენ გამოიქცნენ. ამიტომ პოლიციელებმა სასწრაფოდ მანქანაში ჩამსვეს. ასე რომ, გამორიცხულია, ჩემი ჩხრეკა 35 წუთის მანძილზე გაგრძელებულიყო, როგორც ეს სამართალდამცველებმა თქვეს. პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია.

ამ ყველაფრის ატანა მორალურად ძალიან მძიმეა, რადგან მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს ვემსახურებოდი. აგვისტოს ომში ვიბრძოდი. ჩემი დაკავების დღეს კი სამების საკათედრო ტაძარში გვარის შეკრებაზე მივდიოდი. ქრისტიანი ადამიანი იარაღით წმინდა ადგილას არ დადის. ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია. მე მართალი ვარ და მართალი კაცისთვის სასჯელის მოხდა რთულია“.

ეს სიტყვა თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე ბრალდებულმა ზაზა კობახიძემ წარმოთქვა. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I და II ნაწილით, ანუ იარაღის უკანონო ტარებისთვის წაუყენეს და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ადვოკატ ლადო მაჭარაშვილის თქმით, განაჩენი უკანონოა.

ზაზა კობახიძე პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის დისშვილთან ბავშვობიდან მეგობრობდა. უფლებადამცველებს უჩნდებათ ეჭვი, რომ საქმე პოლიტიკური ნიშნით ზეწოლასთან გვაქვს.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ მომზადებულ ანგარიშში პოლიტიკური ზეწოლის სხვა ფაქტებიც მოხვდა, რომელთა შესახებაც მოკლედ გიამბობთ.

ილუსტრაცია ალექსანდრე ბერიძე

ზურა თავართქილაძე ფოთის N8 სკოლაში დარაჯად მუშაობდა, მისი თქმით, სამსახურიდან „ქართული ოცნების“ გაზეთის კითხვის გამო გაათავისუფლეს. „დილით, სკოლაში რომ მივდიოდი, სახლის კართან გაზეთი დამხვდა. ვიფიქრე, სკოლაში წამეღო და იქ წამეკითხა. იქ როგორ გაიგეს, ან ვინ მნახა, არ ვიცი. რამდენიმე ხანში მანდატურების უფროსი მოვიდა და ახსნა-განმარტება დამაწერინეს, რომ მე, თითქოს, პროპაგანდას და აგიტაციას ვეწეოდი. როგორც მითხრეს, ამის შესახებ განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაურეკავთ, დირექტორს დაავალეს, რომ სამსახურიდან გავეთავისუფლებინე. მასთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, სხვა გზა არ ჰქონდა“, – ამბობს ყოფილი დარაჯი.

გურჯაანელი ზვიად ყვირალაშვილი საკრებულოს მიერ დაფუძნებულ შპს „კეთილმოწყობაში“ დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. მის შრომით ხელშეკრულებას ვადა 2012 წლის 1 მაისს ეწურებოდა, თუმცა, 2012 წლის მარტში იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ყვირალაშვილი „ქართული ოცნების“ შტაბის წევრია.

კოალიციის აქტივისტია ზურა თერგიაშვილიც, ის გურჯაანის სასწრაფო დახმარების ცენტრში მძღოლად მუშაობდა, ყვირალაშვილის მსგავსად, თერგიაშვილიც სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ამავე პერიოდში გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა ხელისუფლება მათი აქტივისტების ტერორში დაადანაშაულა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ერთადერთი ორგანიზაცია არ არის, რომელიც წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის ფაქტებს სწავლობს.

„წინასაარჩევნო პროცესების ანალიზი“ – ამ სათაურით 12 სექტემბერს გამოაქვეყნა კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, კვლევაში ძირითადი ადგილი „სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის ფაქტებს“ ეთმობა. გთავაზობთ ამ ფაქტების მოკლე მიმოხილვასაც:

ხონის საავადმყოფოს ექიმი ლეილა კინწურაშვილი „ქართული ოცნების“ წევრია. მას ხონში, პარლამენტარ აკაკი ბობოხიძის მოსახლეობასთან შეხვედრაზე დასწრება სურდა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი ბესო გიორხელიძე ფიზიკურად გაუსწორდა. დაზარალებულმა საპატრულო პოლიცია გამოიძახა. დაკითხვის შემდეგ, გვიან ღამით, კინწურაშვილი შეუძლოდ გახდა და სასწრაფო დახმარების მანქანით ხონის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გორელ იოსებ ელყანაშვილს ხშირად აფრთხილებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ წევრი არ გამხდარიყო, ის კოალიციის პროექტ „კარდაკარის“ მონაწილე იყო. მის სახლში შესულმა ხუთმა პოლიციელმა, რომლებიც მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, იოსები მდინარის ნაპირზე გაიყვანეს და ცემა დაუწყეს, ამის შესახებ ვინმესთან დალაპარაკების შემთხვევაში კი, დაპატიმრებით დაემუქრნენ.

„ქართული ოცნების“ პროგრამა „კარდაკარის“ რეგისტრატორი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში მცხოვრები ილია სულიაშვილი პოლიციამ 1 ივლისს დაკავა. ის წვრილმანი ხულიგნობის ჩადენაში დაადანაშაულეს. სასამართლომ 35 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. სულიაშვილს პოლიციაში თანასოფლელებმა, გიორგი და ლალი ფრიდონაშვილებმა უჩივლეს. ფრიდონაშვილები კახეთის მაშინდელი გუბერნატორის და ახლანდელი მაჟორიტარი კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის ნათესავები არიან.

მათი თქმით, სულიაშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თავად სულიაშვილი კი აცხადებს, რომ თავს სამი უცნობი პირი დაესხა და „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის გამო სცემა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში მცხოვრებ, „ქართული ოცნების“ აქტივისტს, ნუკრი ბაჟელიძეს, სოფლის რწმუნებულმა გოჩა შარაშენიძემ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ამ ფაქტს გაზეთ „გურია ნიუსთან“ თავად ნუკრი ბაჟელიძე და ამავე სოფლის მცხოვრებლები ადასტურებენ.

„თავისუფალი დემოკრატების“ ზუგდიდელ აქტივისტ სერგო ჩაჩიბაიას, ავტოპროფილაქტიკაში ყოფნის დროს, ახალგაზრდა ბიჭი მიუახლოვდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და საცემად გაიწია, იმავე წუთს პოლიციის მანქანა გამოჩნდა და ჩაჩიბაია ზუგდიდის სამმართველოში გადაიყვანეს. წაყენებული ბრალდების მიხედვით, ჩაჩიბაიამ პატრულის მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია, და ცივი იარაღით მანქანა დააზიანა (თანამშრომელთაგან არავინ დაშავებულა). ოჯახის წევრების ნათქვამის თანახმად, ჩაჩიბაია პოლიტიკური აქტივობის გამო ადრეც იყო ნასამართლევი.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთობლივი ინიციატივით შექმნილია არჩევნების პორტალი www.electionsportal.ge, სადაც არასამთავრობოებსა და მოქალაქეებს წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ინციდენტების დაფიქსირება შეუძლიათ, ამ დროისთვის პორტალზე ინფორმაცია უკვე 301 ინციდენტის შესახებ არის განთავსებული, მათ შორის ყველაზე მეტია ზეწოლის ფაქტები – სულ 198 ინციდენტი; ამასთან, პორტალზე აღრიცხულია ამომრჩევლის მოსყიდვის 46, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების 61 და სხვა სახის დარღვევების 16 შემთხვევა.

რეგიონების მიხედვით ინციდენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე მეტი დარღვევა კახეთის რეგიონში ფიქსირდება (62 ფაქტი), ასევე დიდი რაოდენობის დარღვევაა იმერეთში (49), შიდა ქართლში (44), გურიასა (29) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (27) რეგიონებში.

არჩევნების პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის ათივე ოლქში 43 ინციდენტია აღრიცხული. რეგიონებში განლაგებული ოლქების მიხედვით ყველაზე მეტი დარღვევა ფიქსირდება: გორში – 26 ინციდენტი; გურჯაანში – 15; დედოფლისწყაროში – 13; ლანჩხუთში – 11; ქუთაისში – 11; კასპში – 10; ოზურგეთში – 10; ლაგოდეხში – 9; ზუგდიდში – 9; საჩხერეში – 9.

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.

მუსლიმები დასავლეთის წინააღმდეგ

ანტიამერიკული განწყობის ფონზე ძლიერდება ირანის როლი. ადვილი სავარაუდოა, რომ მან ამით ისარგებლოს და უამრავ სახელმწიფოში დესტაბილიზაციას შეუწყოს ხელი, მით უმეტეს, იქ, სადაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა შიიტური ისლამის მიმდევარია.

დავით ლაღიძე

ფილმმა „ისლამის უდანაშაულობამ“ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 11 სექტემბერს ლიბიის აღმოსავლეთით მდებარე, სიდიდით მე-2 ქალაქ ბენღაზიში, ამერიკის საკონსულოში შეირაღებული პირები შეიჭრნენ და ოთხი თანამშრომელი მოკლეს, მათ შორის ამერიკის ელჩი კრისტოფერი სტივენსი. ეს ფაქტი ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ანტი-ისლამური ფილმის გამოსვლას დაუკავშირა. გამოსვლები და სისხლიანი შეტაკებები მოხდა უამრავ ქვეყანაში: იემენში, ეგვიპტეში, ტუნისში, ირანში, სუდანში, პაკისტანში, ავღანეთში და ლიბანში. გამოსვლები იყო კატარში, ინდონეზიაში, კენიაში, აგრეთვე, ბევრ მუსლიმურ და არამუსლიმურ ქვეყნებში. მომიტინგეებმა დაწვეს ამერიკის დროშები და დასავლეთს შეახსენეს, რომ წინასწარმეტყველი მუჰამედის შეურაცხყოფას არ აპატიებდნენ. მომიტინგეები სკანდირებდნენ სიტყვებს – „სიკვდილი ამერიკას“.

უამრავ ისლამურ ქვეყანაში, სახელმწიფოს თხოვნით, „გუგლმა“ შეწყვიტა ხელმისაწვდომობა ფილმზე, რომელიც სამოყვარულო დონეზე არის გადაღებული, სადაც წინასწარმეტყველი მუჰამედი წარმოჩენილია, როგორც გაიძვერა, მექალთანე და მასხარა. ეს ფილმი გადაღებულია ერთი წლის წინ, ხოლო მისი თრეილერი არაბული ტიტრებით ერთი კვირის წინ აიტვირთა „იუთუბის“ პორტალზე. მდარე ხარისხის ფილმში მონაწილეობს ქართველი მსახიობიც, ანა გურჯი, რომელმაც განაცხადა, რომ არ იცოდა თუ ის „ისლამის უდანაშაულობაში“ იღებდა მონაწილეობას, მისივე განცხადებით, ის იღებდა მონაწილეობას „უდაბნოს მებრძოლებში“ და აღშფოთებულია იმით, რაც მოხდა.

ლიბანში, ჰეზბოლას ლიდერმა, ჰასან ნასრალამ თავის სატელევიზიო გამოსვლაში, ფილმი შეაფასა როგორც ყველაზე ცუდი რამ, რაც კი ისლამის წინააღმდეგ ჩაუდენიათ, უფრო საშინელი ვიდრე სალმან რუშდის „სატანური ლექსები“, ყურანის დაწვა ავღანეთში და მუჰამედის კარიკატურები. ამის შემდეგ კი მან ხალხს ქუჩაში გამოსვლა და ამ ფაქტის მშვიდობიანად გაპროტესტება სთხოვა. 17 სექტემბერს კი, ათიათასობით ადამიანი გამოვიდა ბეირუთის ქუჩებში ფილმის გასაპროტესტებლად. ლიბანის აქცია იყო ყველაზე მასშტაბური რაც კი ამ კვირაში გამართულა. ნასრალამ უკვე მომიტინგეებს სიტყვით მიმართა – „წინასწარმეტყველო, ჩვენ მოვკვდებით შენთვის, ჩემი სული და ჩემი სისხლი შენ გეკუთვნის“ და აქციის მონაწილეებს სთხოვა ამ სიტყვების გამეორება. „ალ ჯაზირას“ ჟურნალისტის, რულა ამინის თქმით, „ეს იყო უდიდესი აქცია. თუ ყველაზე დიდი არა, ერთ-ერთი დიდი გამოსვლა, რაც კი მინახავს“. შეიხ ნასრალამ აღნიშნა, რომ ხალხის და მთავრობების მიერ უნდა მოხდეს საერთაშორისო საზოგადოებაზე ზეწოლა, რათა ნაციონალურ დონეზე მოხდეს მსგავსი შეურაცხმყოფელი ფილმების კრიმინალიზება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰეზბოლას ლიდერი ბოლო ექვსი წლის მანძილზე პირველად გამოვიდა ხალხთან პირისპირ, ხოლო 2008 წლის შემდეგ პირველი სრული გამოსვლა ჩაატარა. ის 2006 წლის 33-დღიანი ომის შემდეგ იმალება. ჰეზბოლა კი, როგორც ორგანიზაცია, დასავლეთის უამრავი სახელმწიფოს მიერ შეფასებულია როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. მას ლიბანში შიიტური მოსახლეობის უმრავლესობა უჭერს მხარს და ყოველწლიურად ირანის ისლამური რესპუბლიკისგან უდიდეს ფულად დახმარებას იღებს. ჰასან ნასრალა თავისი ორატორული ნიჭით და მოსახლეობის მხარდაჭერით ირანის სულიერ ლიდერზე, ალი ხამენეიზე მეტად გავლენიან ადამიანად შეიძლება ჩაითვალოს. 6 წლის წინ ისრაელთან ომის შემდეგ მისმა ავტორიტეტმა ერთი-ორად აიწია ყველა მუსლიმის თვალში, განსაკუთრებით შიიტ მოსახლეობაში. ასევე მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს ლიბანის ქრისტიანულ მოსახლეობაშიც, რომლებიც ქვეყნის 42 პროცენტს შეადგენენ.

ერთ-ერთი ირანული წყაროს ცნობით, გაიზარდა საპრიზო თანხა სალმან რუშდის მკვლელობისთვის, ფილმის გავრცელების შემდეგ, 2,8 მილიონი დოლარიდან 3.3 მილონამდე. სალმან რუშდს, წიგნისთვის „სატანის ლექსები“, 1989 წელს, ვალენტინის დღეს, ირანის შიიტმა სულიერმა ლიდერმა აიათოლა რუჰოლა ხომეინიმ რელიგიურ-იურიდიული ვერდიქტი, ფატვა გამოუტანა და ყველა მუსლიმს მოუწოდა მისი განადგურებისკენ, ხოლო წიგნი მკრეხელურად შეფასდა. წარმოშობით ინდოელი მწერალი ამერიკაში ცხოვრობს.

ორშაბათს გამოსვლები გაიმართა აგრეთვე აზერბაიჯანში, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, 100-მდე მოქალაქემ გააპროტესტა ბაქოში, ამერიკის საელჩოს წინ ფილმის შინაარსი, რომელიც, მათი აზრით, ყურანს და წინასწარმეტყველ მუჰამედს შეურაცხმყოფელად წარმოაჩენს. აზერბაიჯანის კანონმდებლობით, აქცია არასანქცირებული იყო. 30 ადამიანი პოლიციამ დააკავა.

19 სექტემბერს კი, ეგვიპტის პროკურატურამ შვიდი ქრისტიანი კოპიტის და ერთი ფლორიდელი პასტორის დაპატიმრების ორდერი გასცა, ისინი ფილმის გადაღებასთან არიან დაკავშირებულნი.

გაეროს გენერალურმა მდივანმა, პან გი მუნმა, ოთხშაბათს განაცხადა, რომ ფილმის შემქმნელებმა უხეშად გამოიყენეს გამოხატვის თავისუფლება და უამრავ მუსლიმს მიაყენეს შეურაცხყოფა. მისივე თქმით, გამოხატვის თავისუფლება უნდა იყოს გარანტირებული და დაცული, როცა ის გამოიყენება საერთო სამართლიანობისთვის, საერთო მიზნებისთვის. ხოლო როცა რამდენიმე ადამიანი მას იყენებს სხვა ღირებულების გამოწვევის და შეურაცხყოფისთვის, ის არ შეიძლება ამ გზით იყოს დაცული.

ანტიამერიკული განწყობა იგრძნობა მთელს მუსლიმურ სამყაროში, რაც კიდევ ერთხელ დააფიქრა ყველა „არაბული გაზაფხულის“ წარმატებებზე. იემენი, ლიბია, ეგვიპტე და ტუნისი არიან ის ქვეყნები, სადაც არაბული გაზაფხული წარმატებით განხორციელდა, ხოლო ქვეყნის მთავრობებში ისლამისტები მოვიდნენ. სწორედ ამ ქვეყნებში მოხდა ამერიკის საელჩოზე პირდაპირი დარტყმა. ბენი ალის რეჟიმის დამხობით დაიწყო „არაბული გაზაფხული“, ხოლო ჯერჯერობით ბოლო აკორდი მუამარ კადაფის ჩამოგდება იყო. თავისი არსით ის დღესაც გრძელდება სირიასა და ბაჰრეინში, სადაც, შესაბამისად, ბაშარ ალ ასადს და სუნიტურ სამეფოს ებრძვიან.

კომუნისტური ბლოკის დაშლის შემდეგ, ისლამური ტერორიზმი მთავარი გამოწვევაა დასავლეთისთვის და შეიძლება ითქვას, გენერალური ბრძოლის ახალი არენაა. 2001 წლის თერთმეტი სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ეს ბრძოლა მძიმე ფაზაში შევიდა და მას პირველმა, ბერნარდ ლევისმა უწოდა ცივილიზაციათა შეხლა, შემდეგ კი სამუელ ჰანტინგტონმა თავის ნაშრომში დაასაბუთა. რამდენიმე დღით ადრე, ლიბანში რომის პაპი იმყოფებოდა, სადაც მან რელიგიური შემწყნარებლობისკენ მოუწოდა ყველას. ანტიამერიკული განწყობის ფონზე ძლიერდება ისეთი სახელმწიფოს როლი, როგორიცაა ირანი. ადვილი სავარაუდოა, რომ მან ამით ისარგებლოს და უამრავ სახელმწიფოში დესტაბილიზაციას შეუწყოს ხელი, მით უმეტეს იქ, სადაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა შიიტური ისლამის მიმდევარია. ახლო აღმოსავლეთში ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ადამიანები აშშ-ზე და ისრაელზე მეტად ლოიალურები ირანთან მიმართებაში არიან.

ლიბანში, ჰეზბოლას ლიდერმა, ჰასან ნასრალამ თავის სატელევიზიო გამოსვლაში, ფილმი შეაფასა როგორც ყველაზე ცუდი რამ, რაც კი ისლამის წინააღმდეგ ჩაუდენიათ.

Welcome to Hell!

ბექა ქურხული
მწერალი

ჯოჯოხეთია. გახსოვთ, ჯორჯო ვაზარის ცნობილი ნახატი, სადაც ეშმაკები ადამიანებს... აღარ მინდა, ისედაც ერთი-ერთზეა და ყველაფერი გასაგებია. ყოველთვის მეცინება, როდესაც ადამიანები, ერიც, ბერიც იმქვეყნიური ჯოჯოხეთით ძრწუნდებიან და შეშინებულები და დაზაფრულები ეძიებენ მის ადგილსამყოფელს. ჯოჯოხეთი აქ არის. აქ – გლდანში, დიღომში, საბურთალოზე, რუსთაველზე, აქ, ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში, ამ პლანეტაზე. ჩვენ ყველანი ჯოჯოხეთში ვართ! ჩვენ ყველანი ჯოჯოხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ!

ყველამ ყველაფერი ვიცით და ვიცოდით. ამ ერთიბეწო ქვეყანაში, სადაც ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ვინც არ ვიცნობთ, ორი სიტყვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ნათესავები ვართ, არაფერი არ იმალება! ყველა ჩვენგანს ჰყავს პატიმარი მეგობარი და ნათესავი. ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს ჰყავს პოლიციელი ნათესავი და ნაცნობი. და აქ იმაზე არ არის საუბარი, ვინ კრიმინალია და ვინ – არა. აქ საუბარია სისტემაზე, ჯოჯოხეთურ სისტემაზე და მთავარი დამნაშავეც ერთია – ამ სისტემის შემქმნელი.

სტალინი და ჰიტლერი სწორედ იმიტომ იყვნენ დამნაშავეები, რომ ისეთი სისტემა, ისეთი სადამსჯელო პოლიციური რეჟიმი შექმნეს, რომელმაც დასჯა საწარმოო, ქარხნულ კონვეიერად აქცია. თვითონ, პირადად, არც სტალინს და არც ჰიტლერს არა მარტო არავინ არ უწამებიათ და მოუკლავთ, თავშიც არავისთვის არ წამოურტყამთ, მაგრამ მათ შექმნეს ჯოჯოხეთური სისტემა და რეჟიმი, რომელმაც სასაკლაოდ აქცია კაცობრიობის ცხოვრება. ამ ხორცისსაკეპი მანქანიდან ერთნაირად ცვიოდა როგორც ჯალათის, ისე მსხვერპლის თავები, და ვიმეორებ, ამაზე უმთავრესი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ავადმყოფ ნაძირლებს ეკისრებათ, ვის ბინძურ თავებშიც ასეთი ჯოჯოხეთური რეჟიმის და სისტემის იდეა დაიბადა.

სწორედ ასეა ჩვენს შემთხვევაშიც!

ვიმეორებ, ყველამ ყველაფერი ვიცოდით. ამ პატარა ქვეყანას ათიათასობით პატიმარი, პრობაციონერი და ნასამართლევი ჰყავს. გლდანის ციხეში, რომელმაც უკვე დაიკავა „საპატიო“ ადგილი დახაუს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკების გვერდით, ჩემი ორი მეგობარი და კიდევ უფრო მეტი ნაცნობი ზის. რაზე სხედან და პლანის მოწევაზე. ამათ პლანი არ მოუწევიათ არასოდეს! და რამდენიც ამ მთავრობის წევრებს პლანიც მოუწევიათ და კიდევ ბევრად უარესიც უქნიათ, იმდენი ამათი... აღარ მინდა! გინებითაც დავიღალე...

ყველამ ყველაფერი ვიცოდით.

შარშან, დეკემბერში, ჩემი მეგობარი დაიჭირეს. არა, პლანის მოწევაზე არა. რა პლანი! უწესიერესი ადამიანია. მართლა. მგონი, ჩვენს თაობაში ერთადერთი კაცია, ვისაც არამც თუ არ უჩხუბია, ხელიც კი არ უკრავს არავისთვის. პლანი და ის კი არა... მართლა არაფრისთვის დაიჭირეს. მისი გამოხსნა 8 ათასი ლარი დაჯდა და ორ დღეში მაინც მოასწრეს ცემა. არა, ციხეში არა. ციხემდე. წერეთლის პროსპექტზე, გამოფენის წინ რომ „გამჭვირვალე“ განყოფილებაა, სწორედ ჩვენს „განათებულ“, „გამჭვირვალე“ და „ყველაზე დემოკრატიული“ პოლიციის შენობაში სცემეს. მახსოვს, რომ ჩემს ახლობლებს, ვისაც რაიმე სამსახურებრივი შეხება აქვს „სამართალდამცავ“ სტრუქტურებთან, ვეხვეწებოდით, იქნებ რამე მოახერხოთ, რომ სანამ გამოვიყვანთ, არ სცემონ, სხვანაირი, ნორმალური ბიჭია, შეიძლება ვერ გაუძლოს-მეთქი. არა, არ არსებობს, ჩვენ კი არა, ვერავინ ვერ გიშველის, გამორიცხულია, რომ არ ცემონ. სხვებს ცემენ და ეგ რო არ ცემონ, ხო ხვდებით, რა გამოდისო.

ხმას რატომ არ იღებთო, კითხულობენ. იმ ჩემს მეგობარს მშობლები ჰყავს, დები, ნათესავები, ჩვენ რომ ქვეყანა დაგვექცია, ამას იქ ჩაკლავდნენ. აი, მაგით ვეჭირეთ, შენ ვერა, შენს

ფოტო: ბორის ბოდუა

ორთაჭალის ციხე, 20 სექტემბერი 2012

ვიმეორებ, ყველამ ყველაფერი ვიცოდით. ამ პატარა ქვეყანას ათიათასობით პატიმარი, პრობაციონერი და ნასამართლევი ჰყავს. გლდანის ციხეში, რომელმაც უკვე დაიკავა „საპატიო“ ადგილი დახაუს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკების გვერდით, ჩემი ორი მეგობარი და კიდევ უფრო მეტი ნაცნობი ზის.

მეგობარს, ხმას ამოიღებ, არ გამოვუშვებ, მოვკლავ, მკვდარსაც არ მოგცემ... სისტემასთან და რეჟიმთან ბრძოლა ძალიან ძნელია, მით უმეტეს, სისტემასთან და რეჟიმთან, რომელიც ყველაფერზე მიდის, აბსოლუტურად ყველაფერზე! იმ რეჟიმთან, რომლისთვისაც არამც თუ ცნება, თავად სიტყვებიც კი – „ღირსება“, „მორალი“, „სულიერება“, „ზნეობა“, მხოლოდ სიცილის და ზიზღის მომგვრელია და „ბნელი წარსულის, ბნელი გადმონაშთი“. „განათებულ ქვეყანაში“ დიდი ხანია მსგავსი „სისულელეების“ ადგილი აღარ არის. კარგი რა, „Come on!“ Come on!“ და ახლა განახებთ „Come on!“-ს, თქვენი დედა... მართლა დავიღალე ამ გინებით.

ყველამ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ამ საშინელი კადრების ნახვამ, მთელი ქვეყანა გადარია. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ცემა და მოკვლა სულ სხვა რამეა და ის, რაც მთელმა საქართველომ იხილა, სულ სხვა რამე. ამის იქით სიკვდილი არ არის. ეს სიკვდილზე გაცილებით უარესი რამეა. ამ ცოცხებით და ხელკეტებით მარტო პატიმრებს კი არ მიაყენეს შეურაცხყოფა და აჰყარეს ღირსება, არამედ მთელს საქართველოს, მის თითოეულ მოქალაქეს, მთელს საზოგადოებას, მთელს მსოფლიოს. ეს ცოცხები და ხელკეტები, თითოეულ ჩვენგანზე, ჩვენს ძმებზე, შვილებზე, ჩვენს წინაპრებზე და შთამომავლობაზეა მომართული. მათ ჩვენი სისხლი აღარ ჰყოფნით, მათ ჩვენი ღირსება სჭირდებათ. ისინი მთელს სამყაროს შეურაცხყოფენ, იმიტომ, რომ თავად არიან ღირსებააყრილები და შეურაცხყოფილები და ურჩევნიათ, მთელი სამყარო ღირსებააყრილი და შეურაცხყოფილი იყოს. უკეთ იძინებენ.

რატომ? რისთვის? რა უნდათ? არ ვიცი და სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს. ეს ექიმების, ფსიქოლოგების, პოლიტიკოსების და ეგეთი ჭკვიანი ხალხის საქმეა. მე ვიცი, რომ მათ ჩვენი ძალიან მაგარი და ხოშიანი ქვეყანა ჯოჯოხეთად აქციეს. მე ვიცი, რომ ისინი მტრები არიან! და ისიც ვიცი, რომ მტერს დრო არ უნდა მისცე და ამისთვის ექსპერტები და მით უმეტეს, პოლიტიკოსები არ მჭირდებიან. არცერთ პოლიტიკოსს არ ვენდობი და არ მაინტერესებს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემსა და ჩემს ქვეყანას შორის შუამავალი არ მჭირდება. მით უმეტეს, რომელიღაც ნომერი პოლიტიკური პარტია. მაგათი მიხედილი და გაკეთებული აგერ არის და ამ ჯოჯოხეთის შექმნაში, ამათთან ერთად სხვა პოლიტიკოსებსაც მიუძღვით ბრალი. ტალეირანის არ იყოს, „პოლიტიკაში შეცდომა დანაშაულზე უარესია“. მაგათ სისულელეს და სიხარბეს გადაყვა ეს ქვეყანა, მაგათ „სიფრთხილეს“, ანგარიშსა და ანგარებას. ახლა თვითონ არკვიონ ერთმანეთში. არ მაინტერესებს.

მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მტრებმა ჯოჯოხეთად აქციეს ჩემი ქვეყანა, სადაც ხალხს ისე აწამებენ, ნებისმიერი განსაწმენდელის ბელზებელი შეძრწუნდებოდა. მტრებზე კი არ ბრაზდებიან, მტრებს ებრძვიან.

ჩვენ ყველანი გამოვალთ ციხიდან და იქნებ, ისეც შევხვდეთ ერთმანეთს, როცა ხელებზე ბორკილები აღარ გვედება.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში!

"ნაციონალურ მოძრაობას" აღარ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება

ბასილ კობახიძე
თეოლოგი



საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მთავარი პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სახალხო დამცველი უნდა გადადგნენ. „ნაციონალურ მოძრაობას“ აღარ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება. „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა წავიდეს პოლიტიკიდან და გამოაცხადოს თვითდაშლა.

პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი აღმოჩნდნენ პათოლოგები და მანიაკები, რომლებმაც ადამიანების სადისტური წამება სახელმწიფო პოლიტიკის ორგანულ შემადგენელად გახადეს. თუ ისინი დარჩებიან ხელისუფლებაში და პოლიტიკაში, ამით მოხდება ადამიანების წამების გამართლება. ეს წამება, როგორც გარკვეულწილად პოზიტიური მოვლენა, დარჩება მრავალი ადამიანის ცნობიერებაში, რადგან პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი რყვნიან საკუთარ მომხრეებს და სახელმწიფო მოხელეებს. ამ გუნდმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობას, რადგან მის ერთ-ერთ საფუძვლად გახადა პატიმრების სისტემური წამება.

თუ დღეს სააკაშვილს სურს რაიმე სიკეთე გააკეთოს, მაშინ ის თავისი ნებით უნდა წავიდეს პოლიტიკიდან, თავის გუნდთან ერთად და საკუთარი პოლიტიკური პარტიის თვითდაშლა გამოაცხადოს, რათა ამით აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შელახული სახელი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე.

ყოფილმა სახალხო დამცველმა და ამჟამად მინისტრმა გიორგი ტუღუშმა უნდა გაიზიაროს თავისი წილი პასუხისმგებლობა. მან კარგად იცოდა პატიმრების სადისტური წამების შესახებ, ამას თავის ანგარიშებში წერდა, მაგრამ როდესაც ხედავდა, რომ ამ ანგარიშებს ყურადღებას არ აქცევდნენ, გიორგი ტუღუშს, როგორც სახალხო დამცველს, სულ ადვილად შეეძლო საქვეყნოდ სკანდალი აეტეხა, მოეწვია ტელევიზიები, გაემართა პრეს-კონფერენცია და პატიმრების სადისტური წამების მიმართ პროტესტის ნიშნად გადამდგარიყო სახალხო დამცველობიდან. ამით, შესაძლებელია, ეს წამებაც შეწყვეტილიყო.

აქცია ფილარმონიასთან, 19 სექტემბერი 2012

ფოტო: ლევან ხარიტონიდი

უკვე მრავალი წელია უამრავი მღვდელი სრულიად დაუბრკოლებლად შედის ციხეებში. თითქმის ყველა საპყრობილეში არის მოქმედი ეკლესია. საპატრიარქოს მსჯავრდებულებთან ურთიერთობის სპეციალური განყოფილებაც აქვს, რომლის თავმჯდომარეა დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.

ბოლო დღეებში მედიით გავრცელებულ ინტერვიუებში მღვდლები აცხადებენ, რომ იცოდნენ პატიმრების წამების შესახებ. მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა? განა პატრიარქის პროტესტს პატიმრების სადისტური წამების შესახებ შედეგი არ ექნებოდა? მაგრამ პატრიარქმა ახლაც არაფრისმთქმელი განცხადება გააკეთა და საბჭოთა ნომენკლატურის სტილში, რაღაც გაურკვეველი კომისიის შექმნაზე ისაუბრა. საქართველოს ეკლესიამ უნდა გაიზიაროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

KIA Sportage

iPhone 4

iPad 3G

MacBook Pro

MOBILE BANKING
INTERNET BANKING

ისარგებლეთ და მოიგეთ მარტივად

თიბისი ბანკი
TBC BANK

227 27 27 | * 27 27

www.tbconline.ge www.tbcmobile.ge

იდეოლოგიური სადიზმი

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

აქცია ფილარმონიასთან, 19 სექტემბერი 2012

გარდა გულისამრევი სადიზმისა, აქ რაღაც სხვაც არის – ეს იდეოლოგიური სადიზმია: ამ მწამებლების ლოგიკით, თუ ადამიანი ქურდული მენტალობისაა, ის უნდა განა-ადამიანო და ბოლომდე აჰყარო ღირსება, ბოლომდე დაამცირო; მაგრამ ღირსებააყრილი ადამიანი და ღირსებისამყრელი ჯალათი რით არიან ქურდული მენტალობის ადამიანზე უკეთესები?

საზოგადოება, ცხადია, ქურდულ მენტალობას უნდა დაუპირისპირდეს განმანათლებლობით, საბავშვო ბაღიდან და სკოლის მერხებიდანვე, მაგრამ მას ასეთი ამაზრზენი მეთოდებით ვერ ამოფხვრი და ვერც ქვეყანას აუშენებ ადამიანის ღირსების შელახვის ხარჯზე. ვის რაში სჭირდება ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო ღირსებააყრილი, დაშინებული და „დაჩმორებული“ ადამიანებით? ან რატომ ვკითხულობთ „ალუდა ქეთელაურს“ და „სტუმარ-მასპინძელს“? ნუთუ მარტო ლამაზი რითმებისა და მეტაფორებისთვის?

მნიშვნელოვანია კაცობრიობის ის მრავალსაუკუნოვანი ჰუმანიტარული ტრადიცია და გამოცდილება, რომელიც დიდმა ლიტერატურამ შემოგვინახა. არის ვნებები და არის პრინციპები; ჯოყოლას, მაგალითად, აქვს ვნება, რომ შური იძიოს ძმის მკვლელზე, ზვიადაურზე, მაგრამ ვნებას უმორჩილებს უპირობო პრინციპს – არ შეიძლება შენთან სახლში მოსული სტუმრის ღალატი; და რადგან უმორჩილებს, ამიტომ იქმნება ახალი რეალობა, ახალი, უკეთესი, უფრო ნათელი და ტოლერანტული სამყარო.

აქაც ასეა: არ მოგწონს, გძაგს ქურდული მენტალიტეტი და მისი აღმოფხვრა გინდა? კი ბატონო, მეც! მაგრამ ის შავბნელი, სასიამოვნო და, ასე ვთქვათ, „გულისმოსაფხანი“ ვნება, რომ ამის გამო თავად ამ მენტალიტეტის მატარებელი ადამიანი გაანადგურო და გათელო, უნდა დაუმორჩილო პრინციპს, რომ ის პირველ რიგში, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანია და ამ პრინციპის შესაფერისად მოეპყრო კიდეც. მაშინ შეიქმნება ახალი, უფრო სამართლიანი და ნათელი სამყარო, რადგან ეს პიროვნება აუცილებლად გაიგებს, რომ მასში ღვთის ხატს პატივს სცემენ, და ამ სინათლეზე, ქურდული მენტალობის მანკიერებაც მთელი თავისი სიმახინჯეებით გამომზეურდება, უპირველესად, თავად მისი მატარებლის სინდისისთვის.

და პირიქით, როდესაც ვნება იმორჩილებს და ბინდავს აბსოლუტურ პრინციპს, ზნეობის კატეგორიულ იმპერატივს, მაშინ კიდევ უფრო გაძლიერდება ქურდული მენტალობაც, რადგან თუ ამ მენტალობის ადამიანი მხოლოდ სასტიკ, არაადამიანურ ძალას ხედავს თავის წინ, რა თქმა უნდა, ეს მას უფრო მეტად დაამკვიდრებს თავის მანკიერ იდენტობაში, რომელსაც ზოგი, იშვიათად ძლიერი ხასიათის ადამიანი სიცოცხლის დათმობის ფასადაც დაიცავს, უმეტესობა კი გატყდება და ღირსებააყრილ ადამიანად გადაიქცევა. ასეთს მერე ნებისმიერ რამეში გამოიყენებს ავტორიტარული რეჟიმი. ალბათ სწორედ ასეთებისგან კრებენ მათ, ვინც უმწეო პატიმრებს დაიხელთებენ და აწამებენ.

ფუნდამენტური შეცდომა დავუშვით სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე და ქურდულ სამყაროსთან ბრძოლაში „ნულოვანი ტოლერანტობა“ ასეთ შემზარავ გასაქანამდე მივიდა. რას ნიშნავს „ნულოვანი ტოლერანტობა“? იმას ხომ არა, რომ დამნაშავეში საერთოდ აღარ ხედავდე ადამიანს? ტელევიზორში დანახულიდან ცხადია, რომ ამას ნიშნავს და სხვას – არაფერს.

ვფიქრობ, ციხის ჯალათების ეს საშინელი სისასტიკე თვითინიცირებულზე უფრო, ამ ზემოდან მომავალი „ნულოვანი ტოლერანტობის“ დირექტივის პირდაპირი შედეგია, დავალებულიც იყო ზემოდან და ამიტომ დაუსჯელობის სრული გარანტიით სრულდებოდა, რუტინული მეთოდურობით.

ლევან გიგინეიშვილი
ფილოლოგი

www.radiotavisupleba.ge

რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება

09:00 - 10:00
18:00 - 19:00
FM 107.4

15:00 - 15:45
00:00 - 00:45
FM 105.9

ომი, ჰომეროსს აუცილებლად უნდა დავიწყოთ

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ისევ იმ საკითხზე უნდა შეგაწუხოთ, რომლითაც რამდენიმე წლის წინ დავიწყე „ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები.“ ეს ის პრობლემაა, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გადაწყდეს, ხოლო როდესაც ეს მოხდება, ან თუ ეს საერთოდ მოხდა, ჩვენ ყველას თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ თანაბარუფლებიანი საზოგადოების წევრები ვართ. მანამდის კი, მოდი, ჩავთვალოთ, რომ ფეხით მოსიარულე თბილისელებს ომის პირობებში გვიწევს ქალაქში სიარული. ეს ომი მაშინ დაიწყო, როდესაც თბილისის ქუჩების ტროტუარებზე მანქანების პარკინგები მოეწყო. სერიოზული საპასუხო დარტყმის მცდელობა ჩვენი მხრიდან ჯერ კიდევ არ მომხდარა. არადა, ვიღაც-ვიღაცებს ეს ომი მოუგიათ კიდეც. ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მითქვამს, რომ ქალაქის ტროტუარები მისი მაცხოვრებლების ცხოვრების დონესა და დემოკრატიის ხარისხზე მიუნიშნებენ. ნორმალური ქალაქის ქუჩებში დაბალი და მაღალი შემოსავლების ადამიანები თანაბარნი არიან. ნორმალურ ქალაქში საზოგადოებრივი ინტერესი პირად ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს და ქალაქის ქუჩები ამის თვალნათელი მაგალითი უნდა იყოს. თბილისში ეს ბალანსი, უკვე დიდი ხანია, დარღვეულია და რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, თბილისელები ამას უკვე შეგუებულები ვართ; უფრო მეტიც, ველარც ვამჩნევთ. გუშინ ვიღაც ქალბატონმა მსუბუქად მისაყვედურა ტროტუარზე ველოსიპედით რატომ დადიხარო. თავის გასამართლებლად შევთავაზე გარშემო მიმოიხედეთ-მეთქი. მიმოიხედა და მკითხა რა მოხდაო. სწორედ ამ დროს უკნიდან მანქანამ დაგვიპიპინა. ჩავიწიეთ და გავატარეთ. კიდევ ერთხელ ვკითხე: – „ვერც ეხლა ხვდებით რას ვგულისხმობ?“ „არ მესმის თქვენი შეკითხვა, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ველოსიპედის ადგილი ტროტუარზე არაა!“ – მიპასუხა და გამეცალა. ჩვენ ტროტუარზე ვიდექით.

ენრიკე პენიალოსა, ბოგოტას მერი 1998-2001 წლებში დღეს ყველაზე მნიშვნელოვან, თამამ და წარმატებულ ადმინისტრატორად ითვლება მსოფლიოში. მე მასზე ადრეც მისაუბრია („დინების საწინააღმდეგოდ – ერთი ქალაქის და ორი იდეალისტის ამბავი“, – „ლიბერალი“ 31. 05. 2011). თავის დროზე პენიალოსამ ლამის საკუთარი იმპიჩმენტის ხარჯზე მოახერხა მანქანების ტროტუარებიდან მოცილება და სიტყვაზე მენდეთ, მისი ამ

ნაბიჯის მოწინააღმდეგეები ძალიან საშიში და ძლევამოსილი ადამიანები იყვნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბოგოტელები, ისევე როგორც, თბილისელები, არანაირად მზად არ იყვნენ ამ ომის წამოსაწყებად. შესაბამისად, გამოდის, რომ ერთი ადმინისტრატორის ძალისხმევა და სწორი ხედვა ყველანაირ დაბრკოლებაზე ძლიერი აღმოჩნდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ბოგოტა თითქმის რვა მილიონიანი ქალაქია!

რა თქმა უნდა, პირველი და ყველაზე მთავარი კითხვა ამ შემთხვევაში ესაა: „როგორ?“ ან „აქვს თუ არა თბილისს ამის განსახორციელებლად აუცილებელი სივრცობრივი რესურსი?“ ეს სწორი კითხვებია, მაგრამ პირადად ჩემთვის ყველაზე მთავარი კითხვა მაინც ესაა, – „არის თუ არა ქალაქი მზად ზედმიწევნით არაპოპულარული ნაბიჯის გადასადგმელად?“ ან „არის თუ არა ქალაქი მზად ახალი ომის წამოსაწყებად საკუთარი მოქალაქეების, ერთდროულად „საზიანოდ“ და სასიკეთოთ?“ ეს ის შეკითხვებია, რომელზე თუნდაც ზერელე პასუხიც ამ ტექსტის ნაწილი ვერ გახდება, მაგრამ ერთ რამეში სრულიად დარწმუნებული ვარ, – დადგა დრო, როდესაც ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თემები უნდა გახდეს საჯარო დისკუსიებისთვის, ვიდრე ქელეხების მასშტაბებზე ან „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“ ლაყაფი.

ერთ რამესაც დავამატებ: ეს კომპლექსური პრობლემაა და პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორ არეგულირებს ქალაქი სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების, განსაკუთრებით კი მანქანების ნაკადს ქალაქის ქუჩებში. ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არაა და მერწმუნეთ, ამ საკითხზეც საჯარო დისკუსიის წამოწყებაც დროული და მნიშვნელოვანი რამაა, რადგანაც მხოლოდ ასე თუ მოვახერხებთ თბილისელები, ყველაფერთან ერთად, სხვა ქვეყნების გამოცდილებებზე ინფორმაციის მიღებას, ინფორმაციის, რომელიც ცალკეული, თუნდაც მხოლოდ ჩემნაირი ენთუზიასტების ინტერესის სფერო კი არ იქნება, არამედ ნებისმიერი თბილისელისთვის აუცილებელი იარაღი შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად საკუთარი და შემდგომი თაობების საკეთილდღეოდ.

მოკლედ, ეს ის ომია, რომელიც აუცილებლად უნდა დავიწყოთ!

„Trying to solve traffic jams building more road infrastructure is like trying to put out a fire with gasoline“

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM
www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5

- წელს, სექტემბერში, თელავი იქნება ის, რასაც ვერავინ ვერ წარმოიდგენს თავის ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი.

- ყველა, ვინც თბილისზე და საქართველოზე იტყვის, რომ გვეყო რას ვტრაბახობთ, რას ვიწონებთ თავსო, აიღოს დიდი, დიდი დოქი, შეუშვიროს ონკანს და დალიოს ცივი წყალი, მიუხედავად სიცივისა.

- ცხინვალის გათავისუფლების ოპერაცია იყო ურთულესი ოპერაცია. ბრძოლა მიდიოდა ყოველ ბუჩქზე, ყოველ პატარა შენობაზე, იყო აბსოლუტურად გააფთრებული და ხელჩართული, ბევრად უფრო რთული, ვიდრე როდესმე რამე გადახდენია თავს საქართველოს და ქართველ მებრძოლებს.

- დიდი სენსაცია რომ იყო ათი წლის წინ, შესრულდა პირველი რეისი კოპიტნარი–პარიზი და გუბერნატორს მაშინდელს ეს ჰქონდა მთავარი სიამაყე, რომ ჯაგლაგი ტუ-154 ერთხელ გადააფრინეს კოპიტნარიდან პარიზში და ჩაიტანეს აქედან შემწვარი გოჭები და შემწვარი ქათამი. ეს იყო დიდი გარღვევა ევროპაში. დღეში იქნება 6 რეისი ევროპაში აქედან, კარგად დაიმახსოვრეთ, სულ ცოტა ხანში!

- ამხელა რუსეთის პრეზიდენტი ჩუმად შემოიპარა ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე პატარა რეგიონში და პირადად ეახლა ვითომ მოლაპარაკებისთვის დაუბანელ, კაცისმკვლელ, კორუმპირებულ კრიმინალს.

- ზოგიერთ პოლიტიკურ ნაცარქექიას რო აინტერესებდა თბილისში, რატომ ვიყავი თურქეთში ამას წინათ. ვიყავი სწორედ იმიტომ, რომ მოვილაპარაკე ყველაზე ბოლო სათბურების ჩამოტანაზე, სათბური კეთდება, რომელიც ესეთი რამე მე არ მინახავს ადრე, საერთოდ მიწა არ აქვს, ყველაფერი არის ჰაერში გამოკიდებული, პრაქტიკულად ჰაერში იზრდება, მავთულებზე, უმაღლესი კლასის ეკოლოგიურად სუფთა პამიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული.

- ასობით ათასი ქართველი არის იუდაველი, მილიონობით ქართველი არის მუსულმანი და მუსულმანი ქართველი ჩემთვის ისეთივე ქართველია, როგორც მართლმადიდებელი ქართველი ან ქართველი მუსულმანი ისეთივე ქართველია, როგორც ქართველი მართლმადიდებელი ან მართლმადიდებელი ქართველი.

- მე კარგად მახსოვს ჩემს ბავშვობაში და ახსოვთ ალბათ ახალგაზრდობას, როგორ იყო მაშინ. შეიძლებოდა ახალგაზრდა ბიჭი და ახალგაზრდა გოგო გასულიყვნენ ერთად პლაჟზე საღამოს იმის სურვილით, რომ მარტო აღმოჩენილიყვნენ და ეგრევე ნახევარ წამ-წუთში მათ დაანათებდა უმძლავრესი პროჟექტორი. კაცმა არ იცის, საიდან გამოჩენილი გველეშაპის თვალი და თუ კიდევ დიდხანს გაჩერდებოდნენ იქ, რამდენიმე წუთში მიაკითხავდნენ და წაიყვანდნენ იქ, სადაც ჯერ არს.

- ჯეოსელის კლასები რომ გავაკეთეთ, რომელიც ყვარლის სკოლაშია, ჯეოსელი არეკლამებდა კლასებს, 2060 წელს დაბერებული დუტა, უკვე უკბილო, რადგან „ღიმილიანი საქართველოს“ პროგრამა არ იყო ჯერ გათვალისწინებული.

MUST CARRY!

ᲔᲐᲠᲠᲐ

7

მოაწერე ხელი ონლაინ პეტიციას მისამართზე

tv9.ge/peticia

ან დარეკე

2 19 48 48

(ზარი უფასოა)

Must Carry-ს კანონის მოქმედების შეწყვეტისთანავე
"მეცხრე არხი" შეიძლება გაითიშოს.
2 ოქტომბრიდან თქვენ შეიძლება აღარ გქონდეთ ინფორმაციის
სანდო წყარო, რომელიც არჩევნების შედეგებს
ობიექტურად გაამუქებს.

ნუ დარჩები თავისუფალი სიტყვის გარეშე!

mediamonitor.ge

მ ე დ ი ა მ ო ნ ი ტ ო რ ი

როგორ შუქდება წინასაარჩევნო კამპანია
ქართულ ტელე, რადიო, ბეჭდურ და ინტერნეტ მედიაში.
ქართული მედიის მონიტორინგის
უახლესი ანგარიშები ვებგვერდზე:

www.mediamonitor.ge

Find us on Facebook **Mediamonitor.ge**

EUROPEAN UNION

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა
და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.